# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 18 აპრილი, 2013 წელი.

№72 (7199)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

## მიხეილ სააკაშვილი:

## ზოგს კი ჰგონია, რომ მე გიჟი ვარ, მაგრამ მე გიჟი არა ვარ!

2



## „ახალაიას გარანტიები გია ხუხაშვილმა და ლაშა ნაცვლიშვილმა მისცეს“

4

„ახლა კანონის უზენაესობა არის მთავარი და ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, იმდენჯერ მოუწევს დაკითხვაზე მისვლა, რამდენჯერაც საჭირო იქნება. ის, რომ სააკაშვილი რუსეთის პროვოკაციას წამოეგო, უდავოა, თუმცა, არც რუსეთი აღმოჩნდა ამ პროვოკაციით მოგებული და, იმედია, ამას კარგად აცნობიერებენ თავად რუსეთშიც“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი

## დასასრულის დასაწყისი,

### ანუ, „გნაც ელი“, ბიჭებო!

**ხელისუფლება ყველა მეთოდს იყენებს, რათა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების დისკრედიტაცია მოახდინოს, მათ შორის – ჩემი. ხელისუფლებას ეს ვერ გადაარჩენს და მას ტყუილად ჰგონია, რომ ჩვენ ამ მიტინგის ჩატარებას ვერ შევძლებთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი დაბლოკილია, ჩვენ გვაქვს საშუალებები და ყველა ჩვენი აქტივისტი უკლებლივ ჩამოვა თბილისში და, რა თქმა უნდა, ეს მიტინგი ჩატარდება. მინდა ხელისუფლებას ვუთხრა, 19 აპრილს არ მთავრდება ყველაფერი, 19 აპრილს იწყება ყველაფერი.**

ეს **გნაცმოძრაობის** „გენსეკმა“, აწ უკვე თიაქრიან, სქოლიოზიან, ოსტეოქონდროზიან მალათა ასხმად ჩამოლაბორანტებულმა ყოფილმა „ხერხემალმა“ (ვაი, დედა, წელი!) ვანო მერაბიშვილმა გუშინ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მართალია ვანო, **სწორედაც 19 აპრილს იწყება! ოღონდ ყველაფერი კი არა, გნაცმოძრაობის დასასრულის დასაწყისი იწყება.** იმ მოძრაობისა, კახელის არ იყოს, ჯერაც რომ ტოკავს ვირის კუდივით, მაგრამ...



მიდი, გული გაიმაგრე, ვანო, შენნაირი ცოტანიც გაამხნევე, – ხელისუფლებას ნაცმოძრაობაში განხეთქილების შეტანის მცდელობა ცუდად ჩაუვლისო, – მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, ხომ **თავადაც კარგად იცი, რომ როგორც ქალის თვალჩავარდნილი წინდის რღვევას ვერ შეაჩერებს ვერაფერი, ისე ვერც შენს მოძრაობას ვერ უშველის ვერაფერი „გნაცის“ ქმნის მეტი.**

თუნდაც, რომ იტყვიან, ფეხსაცმლიდანაც რომ ამოხტე!

**ასე რომ, სანამ ჯერ კიდევ არ არის უიმედოდ გვიან, „გნაც ელი“, ბიჭებო!**

**რუსლან რუსია**

## ნაძირალა ნაცები პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მილიონებს საფუფუნებლად ხარჯავდნენ

4

## გზა საბოლოო ნგრევისკენ

7

იცნობდით სამამულო საავტომობილო გზების დარგის მესაფლავეებს!..

## ნუ გვაბრამავებთ!

3

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფიქრები ტელეინტერვიუს შემდეგ




# მიხეილ სააკაშვილი: ზოგს კი ჰგონია, რომ მე გიჟი ვარ, მაგრამ მე გიჟი არა ვარ!

**ფაქტობრივად, ეს ინტერვიუ არ იყო, მონოლოგი გახლდით, წარღვნა გახლდათ, როგორსაც არაერთგზის წავულეკივართ.**

**ნიაღვრიდან, რომელიც ორი საათი მიგვაქანებდა, და რომელშიც ყველაფერზე იყო ლაპარაკი, გარდა არსებითისა, საჭიროსი, როგორც საქელეხე ბრინჯის ტკბილი ფლავიდან, მაინც შეიძლება ქიშმიშის გამორჩევა.**

**აი ის „ქიშმიშები“:**

**პირველი. პრეზიდენტ სააკაშვილს აძრწუნებს თვით აზრიც კი, აგვისტოს ომის გარემოებათა გამოძიების შესახებ. ძალიან ეშინია, დამნაშავედ არ გამოაცხადონ. მოგეხსენებათ, ქურდს ქუდი ეწვის.**

მან საფრთხობელა დასახა მოსალოდნელი გამოძიების სახით: თურმე ამით ჩვენ საბოლოოდ, დე იურეც დავკარგავთ ოკუპირებულ ტერიტორიებს. რუსეთი გვეუბნება: თუ არ გინდათ რომ საბოლოოდ დაკარგოთ ეს ტერიტორიები, დაგვიწექით, გაასამართლეთ სააკაშვილი, აღიარეთ დამარცხება, აღიარეთ რომ ომი თქვენ დაიწყეთო.

ამრიგად, უნდა შევთანხმდეთ: წავუწვეთ თუ არ წავუწვეთ, რაც მთავარია, ერმა უნდა გადაწყვიტოს საბედისწერო გადასაწყვეტი: გავასამართლოთ თუ არ გავასამართლოთ სააკაშვილი.

**მეორე. ომში ჩვენ არ დავმარცხებულვართ, რაც მთავარია არც რუსეთს გაუმარჯვნია:**

ომის შედეგად რუსეთმა სტრატეგიულად ვერაფერი მიიღო, პირიქით – დაკარგა სამშვიდობოს სტატუსი;

საქართველომ კი უზარმაზარ წარმატებას მიაღწია – დაუახლოვდა ევროსაბჭოს და ნატოს.

**მესამე. ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა.**

ოღონდ თუ უარს ვიტყოდით სახელმწიფოებრიობაზე!

ჩვენ არ გავაკეთეთ ის, რაც შევარდნაძემ გააკეთა თავის დროზე: ყველაფერი მისცა რუსებს, დაჰყვა მათ ნებას, მათი კარნახით თანამდებობებზე დანიშნა გიორგაძე, ნადიბაიძე, კვირაია, მაგრამ სამაგიეროდ ის მიიღო, რომ ააფეთქეს და ბეწვზე გადარჩა.

**მეოთხე. კი მეძახიან და ჰგონიათ, რომ გიჟი ვარ, მაგრამ მე გიჟი არა ვარ, ჭკვიანი სტრატეგი ვარ.**

2007 წლის ნოემბერში მინსკში შეხვედრისას, რომელსაც კონდოლიზა რაისიც ესწრებოდა, პუტინმა, (რომლისთვისაც არასოდეს ლილიპუტინი არ მიწოდებია), მითხრა, ჩვენ თქვენ ჩრდილოეთ კვიპროსს მოგიწყობთო. სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძე მართალს ამბობს, კონდოლიზა გვაფრთხილებდა, რუსეთთან მოაგვარეთ საქმე, თორემ ამერიკა თქვენს გამო რუსეთთან ომს არ დაიწყებსო (ეს ბურჯანაძის ერთადერთი სიმართლეა). ელჩმა ტეფტმაც მითხრა, რუსეთი საქართველოს ბოლომდე განადგურებას გეგმავსო.

მაგრამ, ამ პირქუში პერსპექტივის მიუხედავად, მან გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ჩანს, მთავარსარდალს მაინც ამერიკის იმედი ჰქონდა – თურმე როკის გვირაბის დაბომბვას აპირებდნენ (ნეტა დაებომბათო!). ყაზბეგთან მთელი რუსეთის არმია იყო მომდგარი, იქიდან დაგვარტყამდნენ და მთელს ჩვენს სამხედრო ძალას ალყაში მოაქცევდნენ. მაგრამ რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოს დაპყრობა. ჩვენ ქვეყანა გადავარჩინეთ.

ამრიგად, რუსები მოდიოდნენ თბილისზე და არა ცხინვალზე.

რუსებს 10 თვითმფრინავი ჩამოვუგდეთ, რაკეტები გაგვითავდა, თორემ სხვებსაც ჩამოვუყრიდით(?). ჩვენმა ჯარმა გმირული წინააღმდეგობით დრო მოგვაგებინა: პოლონეთის პრეზიდენტმა კაჩინსკიმ ევროპელი პრეზიდენტები ჩამოიყვანა თბილისში, აშშ-მა მეექვსე ფლოტი ჩვენსკენ შემოაბრუნა, თბილისში ჩამოვიდა სარკოზი...

**მეხუთე. პრეზიდენტი სიხარულით აღარ არის, რომ პუტინმა, შეპირების მიუხედავად, ერთი ადგილით ვერ ჩამოკიდა.**

რუსების მიერ ამ პირობის შეუსრულებლობას რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, ტელეწამყვან ნინო შუბლაძესაც კი ვერ დაუმალა თავისი დიდი სიხარული ამ მიღწევასთან დაკავშირებით.

**მეექვსე. პრეზიდენტი ძალიან ნაწყენია, რომ წლეულს 26 მაისს სამხედრო აღლუმი არ გაიმართება.**

აღლუმი სახელმწიფო ღირსების მაჩვენებელიაო. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საჩვენებელი სამხედრო მიღწევების დარგში და ამ შესანიშნავ შესაძლებლობას ვკარგავთო.

**მეშვიდე. პრეზიდენტი ვერ ეგუება თავის დღევანდელ მდგომარეობას, ის ძველი დიდების ნოსტალგიას შეუპყრია.**

თუმცა ხშირ-ხშირად აცხადებს, წყალსაც წაუღია პრეზიდენტი, საქართველო უნდა გადარჩესო, მაგრამ თავი წყლისთვის სულაც არ ემეტება. დარჩენილ დროში ვიბრძოლებ, რომ ახალმა ხელისუფლებამ შეცდომები არ დაუშვას, ყველაფერს გავაკეთებ, რათა მონაპოვრები არ დავკარგოთო.

პრეზიდენტი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს, დარჩება, სანამ... საქართველო ოკუპირებულია, ე. ი. ჯერჯერობით განუსაზღვრელი დროით (მანამდე კი, როგორც ნათქვამია, ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი). ბოლოს და ბოლოს, შემიძლია ახალ პრეზიდენტს მრჩევლობა გავუწიოო. ერთი სიტყვით, აშკარაა: ის ჭიანი კბილივით არ მოასვენებს ახალ ხელისუფლებას, აკი მუქარასავით „წამოსცდა“ კიდეც: „ჩვენ ხელისუფლებაში აღარ ვართ... ჯერჯერობითო“.

**მერვე. ალბათ ამ „ჯერჯერობის“ დადასტურებად მიხეილ სააკაშვილი ნაციონალურ პარტიაში რღვევას, დაპირისპირებებს ვერ ხედავს.** მშვენიერი საპარლამენტო ჯგუფი გვყავს: გოგიტა ვაშაძე, გაბაშვილი, მინაშვილი, საყვარელიძე, რატიანი, ჩიორაო... ვანო, ღირსეული კაციაო.

**მეცხრე. მოულოდნელად პრეზიდენტმა პილატესავით დაიბანა ხელი დათა ახალაიასგან (პრინციპში, მთლიანად ახალაიებისგან).**

მე თითქმის არ ვიცნობ მაგ კაცს. სულ 2-3-ჯერ თუ მყავს ნანახი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ის არ იყო ჩვენი მოძრაობის აქტივისტიო.

თურმე პრეზიდენტი „თითქმის არ იცნობდა“ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს!

ბატონი მიხეილის ეს მოულოდნელი განცხადება გვაკვალიანებს, რომ მართლაც რაღაც ვერ არის კარგად „დანიის სამეფოში“, როგორც ეს დათა ახალაიას წერილიდან გახდა საჩინო, რომ იქ ნაპრალებმა საკმაოდ ღრმად იჩინა თავი და ახლა ის დროა, ყველამ საკუთარ თავს მიხედოს. ყოველმა ნაცმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომ მას საფლავში არავინ ჩაყვება.

**პრეზიდენტის ეს ტელეინტერვიუ 19 აპრილისწინა დიდი „დათვალიერება“, თანამებრძოლთა გენერალური გამხნევება იყო, უფრო სწორად, უნდა ყოფილიყო. მაგრამ აშკარაა, რომ იმ ორმა საათმა სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო. ტელეინტერვიუმ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ამ ნირწამხდარი კაცისგან სიმართლეს არ უნდა ველოდეთ. მან დაბეჯითებით ისიც კი ვერ აგვიხსნა, როგორ მოიტეხა თურქეთში მხარი. ტრაილერთან შეჯახება საერთოდ არ უხსენებია, ანტალიაში ტრასაზე ორმო ვერ შევამჩნიეო. ის კი საერთოდ არ უხსენებია, უცხო სახელმწიფოში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტს რა ველოსიპედი და „სამაკატკა“ აუტყდა.**

**ალეკო ასლანიშვილი**

განცხადება

## ვანო მერაბიშვილის გვერდით დგომა დანაშაული იყო

**ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ უკვე ყოფილმა წევრმა, დეპუტატმა მარიკა ვერულაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.**

**მისი თქმით, პარტია დატოვა იმის გამო, რომ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ კრახის შემდეგ ვანო მერაბიშვილი კვლავ დარჩა გენერალური მდივნის თანამდებობაზე.**

**ამასთან, ვერულაშვილის თქმით, დათა ახალაიას განცხადებები არ არის დაკავშირებული 19 აპრილის აქციასთან.**

**– მე მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ ვანო მერაბიშვილი არ არის მიჩვეული სიმართლის თქმას, თუმცა უნდა გითხრათ, რომ მას ამის მოსმენა ძალიან ხშირად მოუწევს უახლოეს მომავალში. უახლოეს მომავალში ის ძალიან ბევრ არასასიამოვნო სიურპრიზს უნდა ელოდოს. მე ამ დრომდე არ გამიკეთებია განცხადება პარტიის დატოვების მიზეზებზე. „ნაციონალური მოძრაობის“ და ჩემი პარტიის კრახი საპარლამენტო არჩევნებში არის სწორედ მისი დამსახურება და მიმაჩნია, რომ ეს ადამიანი ამის შემდეგ აღარ უნდა ყოფილიყო გენერალური მდივანი ამ პარტიის. რადგან ეს მაინც ასე მოხდა, მე გადავწყვიტე, რომ ჩემი ადგილი აღარ იყო ამ პარტიაში. ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, რადგან მე დღიდან დაარსებისა ამ პარტიის წევრი ვარ, – განაცხადა მარიკა ვერულაშვილმა.**

**მისივე ინფორმაციით, დათა ახალაიას სახელით გავრცელებული წერილი ნამდვილად დათა ახალაიას ეკუთვნის და ეს წერილი იყო სიურპრიზი ვანო მერაბიშვილის დაბადების დღისთვის.**

**რაც შეეხება გავრცელებულ ცნობას, რომ როლანდ ახალაიაც აპირებს „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებას, მარიკა ვერულაშვილის განცხადებით, მისი ცნობით, ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება.**

**ეს განცხადებები მარიკა ვერულაშვილმა ბაჩო ახალაიას პროცესის დაწყებამდე გააკეთა.**

**ინტერპრესი**



ფეისბუკიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● კონდოლიზა რაისმა პუტინის საცემად გაიწიაო, მთელი ომის განმავლობაში ალყაში მოქცეულ მოსახლეობას ვემესიჯებოდიო, ჩინეთი გაიბუტაო, კაჩინსკის გვერდით რო ვიდექი აქციაზე, სნაიპერის წითელი „მეტკა“ მიციმციმებდა შუბლზე, მაგრამ მე სარკით შევუჭვრიტინე და ამაცილესო, მერე აღარ ვიცი – გამეღვიძაო.

● მიხეილ, აბა წარმოიდგინე, შენ ორმოში ზიხარ, დანარჩენები კი გვირაბს თხრიან ნატომდე. აი შენ რომ ზარს ჩამოკრავ მაშინ შევალთ ნატოში!

ხო მაგარი იქნება? მიდი ეხლა და ჩაჯექი ორმოში!

● ხალხოოოოოო, დაჟე ნაცებო თქვენც!!!!!!! სად გინახიათ, პრეზიდენტი თავის გამოსვლისას ამტკიცებდეს, გიჟი არა ვარო!!!! არა, მართლა გთხოვთ ანალოგი თუ რამე გსმენიათ, მითხარით და დარჩენილი ცხოვრება ქრონიკულ მიშიზმში გადავვარდები!

● აი, ახლა იმ მირიანაშვილის სახე მანახა რაა, ამას რომ ცნობილი გიჟი უწოდა თავის დროზე (არ ეკუთვნის კაცს ნობელის პრემია?)

● მამკალით და არ მჯერა ამათი შიდა ალიაქოთის... რაღაც სერიოზულს ამზადებენ და ყურადღების გადატანა უნდათ – ია ტაკ დუმაიუ!

● კბილაშვილი გადაირია. იმდენი რამე გაიგო, 20 ვანო ვერ იტყოდა ერთად!

● დედას გეფიცებით, მართლა გულწრფელად შემეცოდა ეს ბედკრული ესა (ობოლი და გულწრფელი ცრემლის სმაილიკი).

● ჩაშვებების მთელი კასკადია „რუსთავი2“-ზე!

მიშა უშვებს და უშვებს ხალხს...

მოკლედ, ცოტაც და იმასაც იტყვის, რომ რესპუბლიკელების, კერძოდ კი ჯორჯ ბუშის, მაკკეინის და დიკ ჩეინის, ანუ ე.წ. ქორების დავალებით დაიწყო ომი!

● ამ შემთხვევაში ნამდვილად ვეთანხმები ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც გუშინ, ეკა ბერიძესთან განაცხადა, რომ გერმანიამ და გერმანელებმა, ნიურნბერგის პროცესის ჩატარებით, მხოლოდ მოიგეს და მონანიებით და ბოდიშის მოხდით, ევროპის ნომერ პირველ და უძლიერეს სახელმწიფოდ იქცნენ... მას აპატიეს და შეუნდეს:!!!

ვეთანხმები ნინოს, ნაცმოძის პროცესი უნდა ჩატარდეს, მაგრამ ნაციონალებს აწი ვერც მონანიება უშველით და ვერც ბოდიში... ერთი გზა დარჩათ, თავი დაგვანებონ და იქნებ ამით საკუთარ თავს უშველონ... მაგათი არც ბოდიში მინდა და არც დანახვა!

● ხალხო, მიშა და მისი რეჟიმი ამერიკელ პოლიტოლოგს ატერორებდნენ და რიგით ქართველებს დაინდობდნენ? ბოლო-ბოლო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჟვანია მოკლეს. ახლა მაინც ხომ გჯერათ, რომ ამ რეჟიმს ათასობით ადამიანი ყავს მოკლული... ყველაფერი ჩვენი ბრალია!

● ჩავთვალოთ, რომ გნაცები პროამერიკელები არიან და ოცნება პრორუსული ძალაა. მაშინ რა გამოდის? პროამერიკელებმა ხალხი ქუჩებში ხოცეს, ციხეები გამოავსეს, ქონება უპრაგონოდ წაართვეს ხალხს, ტერიტორიები დაკარგეს, მედია დააჩმორეს, ბიზნესი ჯიბეში ჩაიდეს, ყველაფერი გაყიდეს და გაანიავეს, ტოტალური მოსმენები და დასმენები, სასამართლო უსამართლო იყო და ა.შ.

● ე.წ. პრორუსულმა ძალამ, მედია გაანთავისუფლა, პოლიტიკური დაჭერები აღარაა, ბიზნესი შედარებით თავისუფალია, სასამართლო კანონმდებლობა ცივილიზებული გახდა, ზიზღის ენით არავის მიმართავს, ციხეები განიტვირთა, ხალხში შიში აღარაა, აღარაა მასობრივი მოსმენა-დასმენები, საზოგადოება გაცილებით თავისუფლად გრძნობს თავს და ა.შ.

● რაღაც სტრანნი მოზაიკა ეწყობა გნაცებო, არა?

● როლანდა ნაცმოძიდან ძილში გაპარულა

● ისეთი ამინდია, ცოლმა რო შემოგისწროს, საყვარელს არ გააგდებს გარეთ!

**გია გაბრიჭიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ნუ გვაბრმავებთ!



**პრინციპი „ვინც მოცემულ მიწაზე უმრავლესობაა, მიწაც იმისია“ მსოფლიოში, პრაქტიკულად, ხშირად მუშაობს. მაგრამ იგი ვერასდროს ვერ დაკანონდება, რადგან ეს შექმნის ყველა ეთნიკური ჯგუფის პანიკურ შიშს ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის გამრავლების წინაშე, მაშასადამე — სტიმულს ეთნიკური წმენდისათვის და ცდუნებას ამ წმენდის მთავარი იარაღისთვის — გენოციდისთვის.**

ცივილიზებულ მსოფლიოს ეს ესმის. მაგრამ ასეა მხოლოდ ცივილიზებულ მსოფლიოში. არაცივილიზებულში, როგორიცაა „ხალხთა საპყრობილე — რუსეთი“, ამ პრინციპს ფართო გასაქანი ჰქონდა მუდამ და დღესაც აქვს. „სეპარატისტული“ კონფლიქტების ორგანიზება მცირე ქვეყნის მიწა-წყლის ხელთგდების მიზნით მისი ლოგიკურად გარდუვალი პრაქტიკაა. სახელი „სამხრეთ ოსეთი“ რუსებმა საქართველოს პირველი ანექსიიდან ათი თვის თავზე შეთხზეს. ცხინვალის გარშემო ოსური მოსახლეობის მასა ჯერ 1860-იანი წლებიდან პირველ ორ ათწლეულში, შემდეგ — საქართველოს მეორე (1921წ.) ანექსიის შემდგომ წლებში შემოიყვანეს. ერთეულის „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა მოხდა ბოლშევიკების პარტიის „კავბიუროს“ (ქ. როსტოვი) და მისივე ცეკას (ქ. მოსკოვი) პირწმინდად უკანონო დადგენილებებით 1920 წელს, ანუ მაშინ, როცა დამოუკიდებელი საქართველო არსებობდა და რუსეთს მასთან ურთიერთობა ჰქონდა. საქართველოს უხინჯოდ კანონიერმა ხელისუფლებამ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ კანონსაწინააღმდეგო „სამხრეთ ოსეთის აო“ გააუქმა 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით. მას აქეთ ამ გამოთქმის უზრჭყალებო ხმარება საქართველოს მოქალაქის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, ხოლო უცხოელის მიერ — უტაქტობა.

დღეს, როცა რუსეთმა თავის სამეზობლოში დიქტატის ძალა სამუდამოდ დაკარგა, რუსეთს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიის ხელყოფის ეს ერთადერთი გზაღა დარჩა, რომელიც მას კოსოვოს პრეცედენტმა გაუხსნა: მან უნდა „დაამტკიცოს“, რომ ამ ქვეყანაში ხელისუფლება რომელიღაცა უმცირესობის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, და შეიარაღებული ძალით ჩაერიოს. რუსეთის უმნიშვნელოვანესი დავალება თავისი ქართველი აგენტურისადმი 1991-92 წლების გადატრიალების შემდეგ სწორედ მისი ამ ზრახვის რეალიზაციას ემსახურება.

თქვენი მონა-მორჩილი, ამ წერილის ავტორი, მოწმე გახლავართ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა (სახელდობრ, რუსეთის აგრესიული ომისა საქართველოს წინააღმდეგ), რადგან მრავალჯერ და დიდხნობით ვიყავი იმ მიდამოში, იქ, სადაც კი შესაძლებელი იყო ყოფნა უიარაღოდ, უფორმოდ და ჟურნალისტური აკრედიტაციის გარეშე. ჩემი ჩვენებაა, რომელზეც პასუხს ვაგებ: **6-7 აგვისტოს (და მანამდისაც, თუმცა იმას, რაც მანამდე იყო, ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი) ხდებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების (არა მემშვიდობეების) შემოსვლა საქართველოში როკის გვირაბით, მათ მიერ საკვანძო პოზიციების დაკავება და ამ პოზიციებზე ძალების კონცენტრაცია. ექვსში დღის ბოლოს და შვიდში დილით უკვე მთლიანად დაკავებული იყო ტერიტორია გზის მონაკვეთის გუფთა-ძარი-ცხინვალის გარშემო სერზე, რომელიც დასავლეთისკენ გადაჰყურებს ზნაურის რაიონს და აღმოსავლეთით — დიდი ლიახვის მთელ ხეობას მისი ყველა სოფლითურთ, აგრეთვე — ერედვიდან ხეითისკენ გზაზე მისი უღელტეხილითურთ, რომელიც აღმოსავლეთიდან ბატონობს იმავე დიდი ლიახვის ხეობაზე, ხოლო აღმოსავლეთისკენ — პატარა ლიახვის ხეობაზე, აგრეთვე — ვანათის ციხის გარეშემოდან დაწყებული სერი, რომელიც ბატონობს პატარა ლიახვის ხეობაზე დასავლეთისკენ და მიმდგომ ტერიტორიაზე აღმოსავლეთისკენ. ამგვარად, 7 აგვისტოს დილისთვის რუსეთს უკვე დაწყებულიც ჰქონდა და მოგებულიც ჰქონდა აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ მარტოოდენ მანევრით, თუმცა, ეს მანევრი ხდებოდა ქართული სოფლების თითქმის უწყვეტი საარტილერიო დაბომბვის ფონზე, რომელიც ოფიციალურად მიეწერებოდა რუსული მედიის მიერაც და ქართული ინსტანციების მიერაც „ოსებს“, თუმცა, ცნობილი იყო, რომ ოსების სახლობის ადგილებში არტილერიის შემოტანა სხვაგვარად, თუ არ რუსების მიერ, შესაძლებელი არ იყო.** ივარაუდებოდა, აგრეთვე, რომ ქვემეხებს ემსახურებოდნენ არა იმდენად ოსები, რამდენადაც „მემშვიდობე“ რუსები და თითქოს „დაქირავებული“ რუსივე სამხედრო მოსამსახურეები (თითქოს გადამდგარები) ინდივიდუალური წესით.

ამის მოწმე ვარ არა მხოლოდ მე, არამედ მთელი ქართველი ამჟამად გამოდევნილი მოსახლეობა, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც გამოდევნილი იყო მანამდე, მათ შორის ამ დროს აღარარსებული ზნაურის რაიონის ქართული სოფლებიდან და ქ. ცხინვალში ინკორპორირებული ქართული სოფლებიდან მამისაანთუბნიდან და გუჯაბაურიდან.

**ჰ. ტალიავინის „ფაქტების დამდგენ“ (fact finding) კომ მისიის დასკვნაში მოცემული თეზისი, თითქოს „ომი დაიწყო ქართული მხარის მიერ ქ. ცხინვალზე საარტილერიო შეტევით“ 7-8 აგვისტოს ღამეს, სიცრუა. იგი ემყარება ავტორთა მიერ იმის გაუთვალისწინებლობას, რომ მანევრი ისეთივე ელემენტია საბრძოლო მოქმედებისა, როგორც დაბომბვა, სამსროლელო იარაღის ხმარება ან ხელჩართული ბრძოლა.** ის, რომ ქართული სოფლები უწყვეტად იბომბებოდა არტილერიით მანამდე, კვირების მანძილზე, ცნობილია საყოველთაოდ. თუმცა, არაერთხელ წერილობით განმიცხადებია ჩემი აზრი, რომ საქართველოს ხელისუფალთა მოქმედება ხსენებული ომის დროს შეიცავს საქართველოს სახელმწიფოსადმი ორგულობის მრავალრიცხოვან ეპიზოდებს, წინამდებარე წერილში ამ თემაზე მსჯელობას საჭიროდ არ ვრაცხ. ეს დანაშაულები მიმართული იყო მხოლოდ საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მოწინააღმდეგის (ანუ რუსეთის და მისი „მემშვიდობეების“) და ოსური მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილი ნაწილის წინააღმდეგ, მით უმეტეს — ადამიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოდ მიღებული ნორმების წინააღმდეგ. **საზოგადოებაში აქტუალიზებულ კითხვასთან დაკავშირებით — საჭიროა თუ არა ხსენებული ომის დეტალური გამოძიება საქართველოს პროკურატურის მიერ? — საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო შემდეგი:**

**1. გამოძიება საქართველოს პროკურატურის მიერ აუცილებლად მიმაჩნია.**

**2. გამოძიების ჩატარება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პირობებში დაუშვებლად მიმაჩნია, ვინაიდან იგი სახიფათოა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ინტერესებისათვის.** საშიშროება ის კი არ არის, რომ გამოჩნდება რაიმე საქართველოს პრესტიჟის მხრივ სახიფათო ფაქტი (ასეთი ფაქტი, ვიმეორებ, არ არსებობს: ხელისუფლებას უფლება ჰქონდა აგრესიული ომის დაწყებად ჩაეთვალა პირველივე შეიარაღებული უნიფორმიანი რუსის შემოსვლა და მისთვის ცეცხლი გაეხსნა), არამედ ერთგულების დეფიციტში (ან, შესაძლოა, კვალიფიკაციის დეფიციტში) საქართველოს მმართველთა მხრიდან: ყოველი მათი ანტიქართული და პრორუსული გამონათქვამი (რაც, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მათი მხრიდან მუდამ მოსალოდნელია) მსოფლიოს მიერ აღქმული იქნება, როგორც „საქართველოს მიერ თავისი ბრალეულობის აღიარება“ და არა როგორც გამოვლენა მათი ირაციონალურად (რეალურად: პათოლოგიური) პრორუსული განწყობილებისა და მათი მოქმედების რეგულირებაში რუსული ფაქტორის მოქმედებისა (პირწმინდად რიტორიკული კითხვაა: შესაძლებელია თუ არა იმის წარმოდგენა, რომ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს არ გააკეთებს ხელისუფლება, რომელსაც ზაქარეიშვილი მინისტრად ჰყავს და ნანუაშვილი — ომბუდსმენად?).

3. გამოძიების პროცესში აუცილებელია დაკითხვა, როგორც მინიმუმ, მთავარი დამნაშავეებისა რუსულ მხარეს, აგრეთვე, ტალიავინის კომისიის თავმჯდომარისა და წევრებისა მათ დასკვნაში და ძიების პროცესში დაშვებული ფუნდამენტური ხარვეზების თაობაზე (ეს ხარვეზები, უკლებლივ ყველა, ქართული მხარისთვის საზარალოა), აგრეთვე, კომისიაში მონაწილე იურისტების შერჩევის მოტივების გამო (მაგალითად, ლუხთერჰანდტს (ჰამბურგი) აქვს იმგვარი პუბლიკაცია აფხაზეთში ქართველთა მიმართ ჩატარებული ეთნოწმენდის თაობაზე, რომელიც გამორიცხავს მის სანდოობას როგორც ობიექტურობის, ისე ლოგიკური დასკვნისუნარიანობის მხრივ). კომისიის წევრთა დაკითხვა, ჩემი აზრით, გამოავლენს კომისიის მუშაობის ზერელობასაც (მოსახლეობისაგან ინფორმაციის არშეგროვების სახით), და უპასუხისმგებლობასაც (კერძოდ, კონფლიქტის ისტორიის, როგორც მომხდარის ფონის, არშესწავლისა და არგათვალისწინების სახით).

ქართველ ერს არც ხელს აძლევს, არც ჰმართებს შერიგება ყალბ არჩევანთან „რომელი გინდა — შეგხრაკო თუ მოგხარშო?“, რომელსაც მას დღეს გარედან (ერთი და იმავე წყაროდან) მართული მტრები სთავაზობენ. იგი ვერ დარჩება განუსაზღვრელი ვადით ვერც წითელი ჯართის, ვერც ეკოლოგიურად და მორალურად უსუფთაო სხვა გაურკვეველ ფერთა ანტიესთეტიკური და როგორც ზნეობრივად, ისე ბიოლოგიურად ორგანიზმისთვის მიუღებელი ეკლექტიკური ნაზავის დივერსანტული „მმართველობის“ ხელში, რომელთაც, თავისი მოკლე ჭკუით, იმედი აქვთ, რომ საქართველოში ხანგრძლივად იბოგინებენ, როგორც ორპარტიული სისტემით (მსგავსად „ტორიებისა“ და „ვიგებისა“ ან „რესპუბლიკელებისა“ და „დემოკრატებისა“) ერთიმეორის „დემოკრატიული“ მონაცვლეობის სიმულანტები. **ქართველმა ერმა უნდა მოასწროს ერთ პოლიტიკურ სუბიექტად (ძალად) ჩამოყალიბება და ეროვნული პასუხისმგებლობით აღჭურვილი პოლიტიკური ორგანიზება, რათა წამლეკავი უპირატესობით გაიმარჯვოს უახლოეს (რა თქმა უნდა, ვადამდე გასამართავ) არჩევნებში მანამდე, სანამ თავის ქვეყანაში დემოგრაფიულ უმცირესობად იქცეოდეს.** ქართველ ერს აქვს იმის უფლებაც და პოტენციალიც, რომ თავის ქვეყანაში სამართლებრივი და ეროვნული ისტორიულმასშტაბიანი ინტერესების სრულყოფილად შესაბამისი დემოკრატიული სახელმწიფო ააშენოს, აგრეთვე, იმის ინტელექტუალური უნარი, რომ თავისი პოზიციების სამართლიანობა და პრინციპული იურიდიული სისწორე ცალსახად დასაბუთებული ჰქონდეს ნებისმიერი ინსტანციისა და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

საამისო კონკრეტული ალგორითმი (პროგრამა) საქართველოს ეროვნულ ძალებს მოგვეპოვება არაერთ (სხვადასხვა საგარეო პირობასთან მორგებად) ვარიანტად. ეროვნულ ძალებში ვგულისხმობთ არა მხოლოდ იმ უკვე ასაკში შესულ ადამიანთა ნებას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოლა და დღესაც იბრძვის, არამედ იმ მომდევნო თაობათა მყარი ნებითა და სახელმწიფო შეგნებით აღჭურვილ პირებსაც, რომელთაც ამ მოწინავე საზოგადო ამოცანის სამსახურის აუცილებლობა ესმით. ამ ერთობლივი ეროვნული ძალისხმევის მონაწილეებად, სამწუხაროდ, ვერ ჩავთვლით იმ მცირერიცხოვან პირებს, ქ-ნ ნინო ბურჯანაძის მსგავსთ, რომლებიც დღეს ანაქრონისტულად ცდილობენ, რომ რეალისტური მიდგომის ნაცვლად საზოგადოების ნაკლებ ჩახედული ნაწილი მსოფლიოს წინაშე უკვე გაწბილებულ პუტინთან „მოლაპარაკების“ პერსპექტივებზე მრავალსიტყვაობითა და ფუჭსიტყვაობით შეიქციონ.

**ნოდარ ნათაძე**

## ალიან-ჩალიანი

## ამერიკელ მრჩეველს „სისულელის“ ვირუსი შეეყარა?

**დაავადებათა** კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ვირუსების ხელოვნურად გავრცელების შესაძლებლობის შესახებ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ამერიკელი მრჩევლის ჯეფრი სივერმანის განცხადებას „სისულელეს“ უწოდებს.

როგორც იმნაძემ განაცხადა, ლაბორატორია, რომელზეც სილვერმანი საუბრობს, საერთოდ არ ფუნქციონირებს. – რამდენი სულელი რაღაცას იტყვის, შეიძლება მისი კომენტირება? ეს არის სისულელე. ჯერ ერთი, ის ლაბორატორია არ ფუნქციონირებს და როგორ შეიძლება არაფუნქციონირებად ლაბორატორიაში რამე კეთდებოდეს? მეორე, ამ ქვეყანაში ასეთ საკითხებზე მუშაობს დაავადებათა ეროვნული ცენტრი და ყველა ლაბორატორია საერთაშორისო კონტროლის ქვეშაა. ჩემთვის მის ტიტულს მნიშვნელობა არ აქვს, ის არის აბსოლუტურად გაურკვეველი და სისულელეების მთქმელი ადამიანი, – აღნიშნა პაატა იმნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ამერიკელი მრჩეველი ჯეფრი სილვერმანი გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ინტერვიუში არ გამორიცხავს, რომ თბილისის აეროპორტის გვერდით მდებარე ლაბორატორიაში ბაქტერიებს ამზადებდნენ და საქართველოში მას ხელოვნურად ავრცელებდნენ.

– ის სააკაშვილმა 2007 წელს შექმნა ამერიკელების დახმარებით და მის ხელმძღვანელად საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ყოფილი შეფი ანა ჟვანია დანიშნა (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია CPHRL თბილისში რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა). იქ ხდებოდა ბიოლოგიური იარაღების კომპონენტების კვლევა, რაც ამერიკის ტერიტორიაზე აკრძალულია. რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა თუ მოხდა, საქართველო საერთოდ წაილეკება. თბილისში მდებარე ლაბორატორიაში ჯილეხის, ციმბირის წყლულის, წითელას, შავი ჭირისა და H1N1-ის ბაქტერიებს ამზადებენ. არ არის გამორიცხული, რომ ამ ვირუსების ხელოვნური გავრცელებაც ხდებოდეს, მაგალითად, წითელასი, რომელიც დღეს ქვეყანაში სერიოზულ პრობლემად იქცა. ასეთივე ლაბორატორია ქობულეთში ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ეგიდით გაიხსნა. მცირე ბიოლოგიური ლაბორატორიაა ქუთაისშიც, – აცხადებს ჯეფრი სილვერმანი. როგორც საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგზე განაცხადა, ჯეფრი სილვერმანის განცხადება თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში საიდუმლო ლაბორატორიებში ჯილეხის, წითელას, შავი ჭირისა და H1N1 ბაქტერიების ხელოვნური გამოყვანა-გავრცელებისთვის სიმართლეს არ შეესაბამება.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „ახალაიას გარანტიები გია ხუხაშვილმა და ლაშა ნაცვლიშვილმა მისცეს“

**კუდ-ის ყოფილმა უფროსმა დუმილი დაარღვია. დათა ახალაია მათი ოჯახის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას ვანო მერაბიშვილს უკავშირებს და ამტკიცებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მარცხი უშუალოდ შს ყოფილი მინისტრის ძალაუფლებისკენ დამოუკიდებელმა ლტოლვამ, ანგარებამ და უბინძურესი ფორმით წარმოებულმა ფარულმა ომებმა განაპირობა.**

ახალაია „სრული პასუხისმგებლობით“ აცხადებს, რომ „ლაფანყურის ავანტიურა“ მისი ძმის — ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და განახორციელა თავად ვანო მერაბიშვილმა. დათა ახალაიას მტკიცებით, მას ამის მტკიცებულებები აქვს.

თავად გია ლორთქიფანიძე ლაფანყურის მოვლენებში ვანო მერაბიშვილის სცენარით განვითარებას არალოგიკურს უწოდებს. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა მისი ყოფილი თანაგუნდელის ბრალდებას ბოდვა უწოდა.

**„ეს ბრალდებები წარმოადგენს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ბოდვას. ცხადია, ეს ყველაფერი მთავრობას დასჭირდა 19 აპრილის წინ, რათა ყველანაირად ხელი შეუშალოს დაგეგმილ აქციას,“** — ამბობს ვანო მერაბიშვილი.

დათა ახალაიას მტკიცებით, ის პასუხისმგებლობას არ გაურბის და სწორედ, ამიტომ არ აპირებს ემიგრაციაში თავის შეფარებას. **„მყარად მაქვს გადაწყვეტილი, უახლოეს მომავალში ჩემს მეგობრებთან ერთად დავბრუნდე საქართველოში და ყველა კითხვას გავცე პასუხი,“** — ამბობს ახალაია.

საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში დავით ახალაიას დააკავებენ. კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ბრალდებულია სისხლის სამართლის მხოლოდ ერთ საქმეში, პოლიციელ აზარაშვილის ცემასთან დაკავშირებით. მას შეფარდებული აქვს პატიმრობა და, ბუნებრივია, დაბრუნების შემთხვევაში ახალაია მისი ძმის ბედს გაიზიარებს. მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები, რა ჩვენებას მისცემს ის სხვა საქმეებთან დაკავშირებით, ამას მომავალი გვიჩვენებს.

საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, თუ გამოძიება დარწმუნდება მის ბრალეულობაში, მის დევნას განაგრძნობენ.

**„თუ დავრწმუნდებით მის უდანაშაულობაში, შევწყვეტთ დევნას. სხვა საქმეებთან დაკავშირებით, რაზეც მას ინფორმაცია ექნება, ბუნებრივია, მოვისმენთ და გამოძიებას ვაწარმოებთ,“** — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, დათა ახალაია, სოსო თოფურიძე და მეგის ქარდავა საქართველოში ბრუნდებიან. როგორც for.ge-ს წყარო ამბობს, ახალაიას ქვეყანაში დაბრუნებასა და გამოძიებასთან თანამშრომლობის გადაწყვეტილება, მისმა ყოფილმა მოადგილემ დავით ჩხატარაშვილმა მიაღებინა, რომელიც, ამავე წყაროს ინფორმაციით, დაახლოებულია ექსპერტ გია ხუხაშვილთან და საქართველოს გენერალური პროკურატურის მოადგილესთან ლაშა ნაცვლიშვილთან.

ამავე წყაროს ინფორმაციით, გამოძიებასთან შედეგიანი თანამშრომლობის სანაცვლოდ ჩხატარაშვილმა ახალაიას და მის მეგობრებს გარანტია მისცა, რომ მათი სისხლის სამართლის საქმეები არ დამძიმდებოდა. ახალაიებთან დაახლოებული წყარო for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მათთვის უცნობია თარიღი როდის დაბრუნდებიან ისინი სამშობლოში, თუმცა, ამბობს, რომ გადაწყვეტილება მათ უკვე მიღებული აქვთ. ამავე წყაროს ცნობით, ისინი ამჟამად თურქეთში ერთ-ერთ სასტუმროში იმყოფებიან და, პრაქტიკულად, ისინი იზოლირებულები არიან.

როგორც ცნობილია, კუდ-ის ყოფილ შეფს რამდენჯერმე ჰქონდა თურქეთიდან ევროპის, კერძოდ კი გერმანიაში გადასვლისმცდელობა. თუმცა, ახალაიას




საზღვრის გადალახვის პრობლემასთან ერთად, თავისი უსაფრთხოების პრობლემაც შეექმნა. მან ვერ მიიღო გარანტია, რომ მისი უსაფრთხოება იქნებოდა გარანტირებული. განსაკუთრებული პრობლემები მასაც, ისევე როგორც პატიმრობაში მყოფ მის ძმას, ჩეჩნური დიასპორისგან შეექმნათ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მრჩეველი მექა ხანგოშვილი for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ ახალაიას პრობლემები მართლაც აქვს ჩეჩნურ დიაპორასთან.

**„ამ ადამიანების და უშუალოდ ბაჩო ახალაიას ბრძანებით მოხდა ის დანაშაულებრივი ქმედება ლაფანყურში. ახლა ისინი ცდილობენ პასუხისმგებლობას გაექცნენ,“** — აცხადებს მექა ხანგოშვილი.

for.ge-ს ინფორმაციით, დათა ახალაიამ სცადა, რუსეთის ტერიტორიაზე გადასულიყო. ახალაიასთან დაახლოებული პირები არ მალავენ, რომ კუდ-ის ყოფილი შეფი ცდილობდა კრემლთან დაახლოებული პირების დახმარებით რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას, თუმცა, ახალაიამ უარი მიიღო. შვიდთვიანი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ახალაიამ გადაწყვიტა დაბრუნდეს საქართველოში და ითანამშრომლოს გამოძიებასთან. საქართველოს საპატიმროში კი მისი უსაფრთხოება დაცული იქნება და ეს გარანტია მას უკვე მიღებული აქვს.

დათა ახალაიას აღიარებითი განცხადების შემდეგ, **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა როლანდ ახალაიამ. ახალაია დამოუკიდებელი დეპუტატების ფრაქციას შეუერთდება. ახალაია ამბობს, რომ მას მორალური უფლება არ აქვს დარჩეს „ნაციონალურ მოძრაობაში“. მისი თქმით, დათა ახალაიას მიერ გავრცელებული განცხადების მერე, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. „დარწმუნებული ვარ ჩემი შვილის სიმართლეში,“** — ნათქვამია როლანდ ახალაიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ექსპერტი გია ხუხაშვილი კი მიიჩნევს, რომ **ძმები ახალაიები სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მკაცრი რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ.**

**დღეს დადგა რეალობის წინაშე, როდესაც მისი ძმა ციხეშია და მასაც მსგავსი სანქციები ემუქრება, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დანაშაულის გამო. მან გააცნობიერა, რომ ის მიზანი, რომელის მიხედვითაც ქვეყანას ემსახურებოდნენ, სინამდვილეში ძალაუფლების მოყვარული ადამიანების მანიპულირების ინსტრუმენტი იყო,“** — აცხადებს გია ხუხაშვილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ახალაია მისმა გარემოცვამ შანტაჟში და ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში დაადანაშაულა. ქვეყნის პირველი პირი კი დუმს. თბილისის მერს გიგი უგულავას კი ახალაიას განცხადება ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდებას ახსენებს.

**„ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია გია ხუხაშვილის განცხადება, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ რაღაც ორკესტრირებულ მოქმედებას აქვს ადგილი,“** — აცხადებს გიგი უგულავა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ახალაიას განცხადება საბოლოოდ აშიშვლებს და ცხადყოფს იმ პრობლემებს, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყო 1 ოქტომბრამდე და უფრო ხილული გახდა 1 ოქტომბრის შემდეგ. მისივე თქმით, კლანებს შორის ბრძოლა გადასულია დამაგვირგვინებელ ეტაპზე.

**„ის, რომ დაპირისპირება არსებობდა ამ ორ დაჯგუფებას შორის, ეს თვალში საცემი იყო და ეს იცის ყველამ. სანდრო გირგვლიანის მკვლელობა იყო სათავე მათ შორის დაპირისპირებისა და შემდეგ გაღრმავდა წლების განმავლობაში, როდესაც შსს-ში გავლენის გადანაწილებაზე მიდიოდა საუბარი კოდუებსა და ახალაიებს შორის. რა თქმა უნდა, აქ ჩართული იყო ივანე მერაბიშვილი თავისი შესაძლებლობებით.**

**გავლენის სფეროები იყო უკიდეგანო და იგი ვრცელდებოდა ყველანაირი სახის აქტიურობაზე. სად გადაიჯაჭვა ამ კლანებს შორის ინტერესები, მტკიცებულების გარეშე ამაზე საუბარი არასერიოზული. მაგრამ, ერთი რამ შემიძლია გითხრათ, პირველობა მეფის კარზე ეს არის უმთავრესი მიზეზი ამ დაპირისპირებისა.**

**ბაჩო ახალაია მიისწრაფვოდა პირველობისკენ და, ბუნებრივია, მას უნდოდა, რომ ყოფილიყო უალტერნატივო სააკაშვილისთვის. იგივე უნდოდა მერაბიშვილს. ეს იყო ბინძური დაპირისპირება პირველი პირის კარზე, რამაც მძიმე განსაცდელი მოუტანა ჩვენს საზოგადოებას,“** — აცხადება for.ge-სთან საუბრისას დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ექსპერტ კახი კახიშვილის განცხადებით, არასტაბილურ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, რომ ის შეიძლება გახდეს საქართველოს მეპატრონე, რა სურვილიც მისივე თქმით გაუჩნდა ახალაიას.

**„საკუთარი ხისტი ხასიათიდან გამომდინარე, საკუთარი პერსონალური გავლენა დაიმკვიდრა სააკაშვილის კარზე. აქედან გამომდინარე, როდესაც ის გახდა შს მინისტრი, მას სულაც არ სიამოვნებდა, რომ გავლენების სფეროები გადანაწილებული იყო მერაბიშვილსა და ადეიშვილს შორის.**

**ის თვლიდა, რომ ბევრი რამე გააკეთა ამ მთავრობისთვის და ამიტომაც, ძმებს უნდა ჰქონოდათ თავისუფალი სვლის უფლება კორუფციული ჭაობისკენ, რომელიც ჩაფლული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ელიტური ფრთა. დანარჩენები, ყველა, ვისაც სურვილი უჩნდებოდა, ისჯებოდა.**

**აქედან გამომდინარე, როდესაც ბაჩო ახალაიამ დაიმკვიდრა საკუთარი პერსონალური სკამი სააკაშვილის კარზე, განსაკუთრებით, როდესაც ჩაიბარა თავდაცვის სამინისტრო, გაუჩნდა ამბიცია, რომ ძმებმა უნდა აკონტროლონ ის ბიზნესები, რომელთა გავლენები გადანაწილებული იყო ადეიშვილსა და მერაბიშვილზე.**

**შემდგომში, როდესაც ის გახდა შს მინისტრი, ჩათვალა, რომ მთლიანად გავლენა ძმებს შორის უნდა გადანაწილებულიყო. ის დაეჯახა მერაბიშვილის კადრებს, მაგრამ მან ვერ გათვალა, რომელ სისტემაში დაიწყო მუშაობა. როდესაც მერაბიშვილის ხალხთან დაიწყო ლაპარაკი, რომ მალე ბიზნესგადანაწილება დაიწყება და მერაბიშვილს შეექმნება პრობლემები, ისინი ამის შესახებ ინფორმაციას ბუნებრივია მიაწვდიდნენ მერაბიშვილს,“** — ამბობს for.ge-სთან საუბრისას კახი კახიშვილი.

**თამთა ქარჩავა**

## ალიან-ჩალიანი

### ნაძირალა ნაცები პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მილიონებს ფუფუნების საგნებზე ხარჯავდნენ

**პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ირინა იმერლიშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის, მისი ოჯახის, ახლობლების, სხვა მოქმედი თუ ყოფილი თანამდებობის პირების „ფუფუნების საგნებზე“ „შოკისმომგვრელი თანხები“ იხარჯებოდა.**

**როგორც იმერლიშვილმა პარლამენტში, უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნულის შესახებ საუბარია დოკუმენტაციაში, რომელიც მან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისგან გამოითხოვა და, რომელზეც წვდომა მას შემდეგ შეძლო, რაც პროკურატურის დახმარებით ხარჯებს გრიფით „საიდუმლო“ მოეხსნა.**

**იმერლიშვილის ინფორმაციით, მხოლოდ სააკაშვილის ესპანელი მზარეულის ცხოვრების და თარჯიმნით უზრუნველყოფის ხარჯები საერთო ჯამში ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს.**

**— წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალი ბიუჯეტის მქონე დაცვის სპეციალური სამსახურიდან სრულიად არამიზნობრივად იხარჯებოდა თანხები. ეს თანხები მიდიოდა პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების, ყოფილი და ახლანდელი თანამდებობის პირების, მათ შორის ქალაქის მერის, არაერთი გუბერნატორის, პარლამენტის წევრების ფუფუნების საგნებზე, საჩუქრებზე, დასვენებაზე და გართობაზე. ეს ყველაფერი იყო გრიფით „საიდუმლო“, ამ ხარჯების ნახვა იყო შეუძლებელი. ქვეყნის ბიუჯეტიდან დაიხარჯა შოკისმომგვრელი თანხები. მაგალითად ჩვენი კოლეგები, მათ შორის წინა მოწვევის პარლამენტის წევრები — კობა ხაბაზი, ალანა გაგლოევა, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ასევე უმცირესობის წარმომადგენლები გოგა ხაჩიძე, დავით საყვარელიძე, მარიამ საჯაია, გიორგი ღვინიაშვილი, ნუგზარ წიკლაური, სერგო რატიანი, დავით დარჩიაშვილი ახალ წელს პრეზიდენტთან ერთად დუბაიში შეხვდნენ და მათ გართობაზე დაიხარჯა 240 ათასი ლარი. ასევე ჩემს კოლეგა ქალბატონს პრეზიდენტმა უყიდა ძვირადღირებული მობილური ტელეფონის აპარატი და სამაჯური, რომელიც ამ დოკუმენტებში ჩანს. გარდა ამისა, სააკაშვილმა უკრაინელ მომღერალს, რომლის მამასაც საქართველოს მოქალაქეობა სრულიად უკანონოდ მიანიჭა, რადგან თავის ქვეყანაში ძებნილი იყო, ოქროს ნაკეთობები აჩუქა. საკმაოდ ძვირადღირებული ოქროს ნაკეთობა აქვს ნაყიდი და ნაჩუქარი ასევე რუსი ჟურნალისტისთვის. ასევე, პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა ძვირადღირებულ ავსტრიულ კურორტზე გასახდომ პროცედურებში დახარჯეს 115 ათასი ლარი. ასეთი ხარჯები არ მთავრდება. მხოლოდ პრეზიდენტის ესპანეთიდან ჩამოყვანილი პირადი მზარეულის ცხოვრების ხარჯები და თარჯიმნით მომსახურება საერთო ჯამში აღწევს ნახევარ მილიონ ლარს, რადგან 25 ათასი ლარი ჯდებოდა ეს ყველაფერი თვეში, — განაცხადა იმერლიშვილმა.**

### ფრაქცია „ნაცმოძრაობა“ კიდევ ერთი დეპუტატით შემცირდა

**თბილისის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთმა დეპუტატმა ბესო ბენდელიანმა დატოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფრაქცია „დამოუკიდებელი დემოკრატების“ წევრმა დავით ჯინჭარაძემ განუცხადა, ბენდელიანმა საკრებულოს უმრავლესობა აზრთა სხვადასხვაობის გამო დატოვა და ეს მისი მხრიდან იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება.**

**ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ მის ფრაქციას კონსულტაციები ჰქონდა ბენდელიანთან და იგი ფრაქცია „დამოუკიდებელი დემოკრატების“ წევრი გახდა. ფრაქციაში ამჟამად ოთხი წევრია. თბილისის საკრებულოს უმრავლესობაში ამჟამად 25 დეპუტატია, 22 კი — ოპოზიციაში.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გაჯიქებული ჩრდილო კორეა

**საერთაშორისო განვითარების თანამედროვე ეტაპის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში მიმდინარე სიღრმისეული ძვრები, რომელთა მძლავრ მამოძრავებელ ძალად გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი გვევლინება. საერთაშორისო ურთიერთობები განიცდის გარდამავალ პერიოდს, რომლის არსი პოლიცენტრული საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებაშია.**

ეს პროცესი მიმდინარეობს საკმაოდ რთულად, გლობალური და რეგიონული პოლიტიკურ-ეკონომიკური რყევების თანხლებით. საერთაშორისო ურთიერთობები სულ უფრო ძნელად საწარმოებელი ხდება და მასთან ერთად ნაკლებად გამოსაცნობი.

მცირდება ისტორიული დასავლეთის, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური შესაძლებლობების მქონე მოქმედი პირის დომინანტური როლი მთელს მსოფლიოში. მიმდინარეობს მსოფლიო განვითარების პოტენციალის გადაადგილება აღმოსავლეთისკენ, უპირველეს ყოვლისა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისკენ.

მსოფლიო პოლიტიკის, განსაკუთრებით ეკონომიკის ავანსცენაზე ახალი მოთამაშეების გამოჩენა, დასავლეთის ქვეყნების სურვილის ფონზე, შეინარჩუნონ ადრინდელი პოზიციები, აწყდება გააფთრებულ კონკურენციას, რაც თავისთავად წარმოშობს არასტაბილურ ვითარებას საერთაშორისო ურთიერთობებში.

საკუთარი ეკონომიკურ-პოლიტიკური პოზიციების გამყარებისთვის სულ უფრო ხშირად მიმართავენ სამხედრო მშენებლობის განვითარება-გაფართოებას, რაც ბუნებრივად იწვევს ქვეყნებს შორის სამხედრო ძალთა თანაფარდობის ცვლას. დამკვრელური შეიარაღების მშენებლობა, მისი მოდერნიზაცია, ახალი სახის იარაღის დამზადება და მისი შეიარაღებული ძალების ბალანსზე აყვანა საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას, უსაფრთხოებას, არარაობად აქცევს მხარეთა შორის შეიარაღების კონტროლთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებებს.

გლობალური რყევების და ქვეყნებს შორის გარდაუვალი ურთიერთობების პირობებში აუცილებელია უსაფრთხოების თანაბარი პრინციპების დაცვა – ევროატლანტიკურ, ევრაზიულ, აზია-წყნარი ოკეანის სივრცეებში. მაგრამ ეს მარტივი ჭეშმარიტება მოჭარბებული ამბიციების და ჰეგემონიზმის შენარჩუნების სურვილის ტყვეობაში ექცევა – შესაბამისი, არცთუ სახარბიელო შედეგებით, რისი მოწმენიც გავხდით ბოლო კვირის განმავლობაში.

კარიბის ზღვის კრიზისის შემდეგ, მსოფლიო არასდროს ყოფილა, ბირთვული ომის დაწყების საფრთხის წინაშე, როგორც გასულ კვირას. კორეის ნახევარკუნძული მსოფლიო მედიის ნომერ პირველი სალაპარაკო თემა აღმოჩნდა. 24-მილიონიანი ჩრდილო კორეა, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი არმიით (მილიონ სამასი ათასი) და 5 მილიონზე მეტი რეზერვით, საშუალო და შორი რადიუსით მფრენი რაკეტებით, სხვა სახის შეიარაღებით და, რაც მთავარია, ბირთვული ბომბებით, არათუ სერიოზულ თავსატკივარად იქცა, არამედ საგნობრივი განსჯის თემად, თითქმის ყველა მაღალი დონის შეხვედრის დროს, რაც მოხდა საერთაშორისო არენაზე.

კორეის ნახევარკუნძულის საკითხი განიხილეს „დიდი რვიანის“ საგარეო საქმეთა მინისტრებმა, გარდა ამისა აშშ-ისა და რუსეთის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებმა ცალკე შეხვედრაზე – „დიდი რვიანის“ მინისტრთა შეხვედრის ფორმატში.

ამერიკა-რუსეთის დიპლომატთა მოლაპარაკების დაწყებამდე (მხარეთა თანდასწრებით) ლავროვის ნათქვამი წინადადება, ჩვენი პოზიციები კორეასთან მიმართებაში ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ გამაღიზიანებელ ფაქტორს ადგილი არ უნდა ჰქონდესო, ბევრ რამეზე მიანიშნებს და უპირველესად იმაზე, რომ ვითარების შეგნებულად თუ შეუგნებლად, უნებლიე დაძაბვას გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს მიერ დასმულ შეკითხვას ერთ-ერთმა რიგითმა ამერიკელმა შეშფოთებით უპასუხა – ჩრდილო კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი მეტად ახალგაზრდაა და მან შეიძლება ვერ მოზომოსო. პასუხი ზუსტად ასახავს შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტს. ფაქტი კი ის არის, რომ 29 წლის კიმ ჩენ ინს თავისდაუნებურად, სამხედრო ისტერიაში გახვეულს, შეუძლია ისეთი ნაბიჯი გადადგას, რამაც მსოფლიო, და არა მარტო რეგიონი, უმძიმესი ფაქტის წინაშე დააყენოს.

დასავლურ მედიაში სისტემატურად მიმდინარეობს კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილი დაძაბულობის განხილვა. შეწყდა დასავლელ ექსპერტთა ზედაპირული განცხადებები - იყვირებს, დაიღლება და გაჩერდებაო. დასავლეთში არსებული ზერელეობა დამაფიქრებელმა განცხადებებმა, უფრო მეტიც, მოწოდებებმა ჩაანაცვლა, რისი ნათელი დამადასტურებელი „დიდი რვიანის“ საგარეო საქმეთა მინისტრების მოწოდებაცაა ახალგაზრდა კიმ ჩენ ინისადმი – შეწყვიტოს აგრესიული რიტორიკა, საშუალო სიშორის რაკეტების გამოცდა, ბირთვულ იარაღზე მუშაობა და სხვა.

გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაში ხშირად ისმის, რომ პატარა კორეა, აშშ-თან შედარებით მოკრძალებული შეიარაღებით, ვერაფერს დააკლებს ამერიკას. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ეს ასეა. აშშ-ს თავისუფლად შეუძლია ნაცარტუტად აქციოს ჩრდილო კორეის სამხედრო ობიექტები და მთლიანად ჩრდილო კორეა. მაგრამ, ვიდრე ეს მოხდება, ფხენიანსაც აქვს ძალა იმისა, გადაუაროს სამხრეთ კორეას, სერიოზული ზიანი მიაყენოს იაპონიას და იქ განლაგებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებს. განსაკუთრებით მძიმე იქნება ომის შემდგომი პერიოდი, როგორც აშშ-ის, ისე რეგიონის ქვეყნებისთვის. ექსპერტთა აზრით, კონფლიქტს უდავოდ მოჰყვება დიდი მსხვერპლი და ა.შ.

კორეის ნახევარკუნძულის ვითარების ადუღებაში მრავალ ფაქტორს ჰქონდა და აქვს გამაღიზიანებლის მნიშვნელობა. ერთ-ერთი სწორედ ის არის, რაც ლავროვმა თქვა ამერიკელებთან მოლაპარაკების დასაწყისში. ჩრდილო კორეა ეჭვის თვალით უყურებდა და უყურებს რეგიონში ამერიკელთა მოქმედებას, განსაკუთრებით სამხრეთ კორეასთან ერთად სამხედრო მანევრების ჩატარებას. ერთ-ერთი სულ ახლახანს დასრულდა. მასში მონაწილეობა მიიღო აშშ-ის ე.წ. უხილავმა სამხედრო თვითმფრინავმა.

ჩრდილოელებში ათეული წლების განმავლობაში არსებობს შეგრძნება, რომ სამხრეთი, აშშ-ის დახმარებით, გააჩაღებს ომს ჩრდილოეთის წინააღმდეგ, ამ ქვეყნის კომუნისტური რეჟიმის და ხელისუფლების დასამხობად. ფხენიანს აღიზიანებს ისიც, რომ აშშ თითქმის არაფერს აკეთებს იმ დაპირებების შესასრულებლად, რაც მან ადრე არსებული მოლაპარაკებების დროს აღუთქვა.



ჩრდილო კორეას უჭირს საწვავი, კვების პროდუქტები. სურს მათი მიღება შესაბამისი დათმობების ხარჯზე, თუმცა ამერიკელთა დაპირება, დაპირებად რჩება. ოფიციალურმა ვაშინგტონმა ვერ დაადგა თავი ჩრდილო კორეასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამერიკელ მაღალჩინოსანთა ფხენიანის ვიზიტები უნაყოფოდ გაქრა, რამაც ჩრდილოელი პოლიტიკოსები ვაშინგტონის თვალთმაქცურ თამაშში დაარწმუნა.

**ხშირად იბადება კითხვა – აშშ-მა ვერ შეძლო ჩრდილო კორეასთან საერთო ენის გამონახვა, თუ არ შეძლო. სრული შესაძლებელია, რომ არ შეძლო, ვინაიდან ჩრდილო კორეის ფაქტორის პერმანენტული გამოყენება ხელს აძლევს ვაშინგტონს აკონტროლოს არა მარტო ბობოქარი ნახევარკუნძული, არამედ მთელი რეგიონი, განსაკუთრებით ჩინეთი და რუსეთი.**

ავღანეთიდან კოალიციური ჯარების გამოყვანასთან დაკავშირებით აშშ-ის და ნატოს გეგმების ანალიზისას უმალ დაგებადებათ კითხვა – რით არის გამოწვეული სამხედრო ტვირთებისა და იარაღის გამოტანა ავღანეთიდან ისეთი მძიმე და მიხვეულ-მოხვეული გზით, როგორიც პამირის გზაა? პასუხი მარტივია - ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში განლაგებით.

ამ ქვეყნების ხელისუფლებებთან უკვე არის შეთანხმება. იქ იარაღისა და სამხედრო ბანაკების დაარსება უპირველესად მიმართულია რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების წინააღმდეგ. ამ კონტექსტში განიხილება შემდეგი სამხედრო სცენარის რეალიზების საკითხიც – ცენტრალურ აზიაში სამხედრო ობიექტების, კავშირგაბმულობის საჭირო პუნქტების, სამხედრო-სასწავლო ცენტრების, ანტიტერორისტული ცენტრების დაფუძნება, რაც თავისთავად უპასუხებს იმ ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც ასახულია აშშ-ის სამხედრო დოქტრინაში.

**დოქტრინის მიხედვით, გათვალისწინებულია საზღვარგარეთ აშშ-ის სამხედროების რაოდენობის შემცირება, იმავდროული ოპერატიული ჯგუფებით ჩანაცვლება. შედარებით მცირე ზომის, მაგრამ მრავალი ოპერატიული პუნქტის გახსნით იქმნება მრავალფუნქციური სამხედრო ობიექტები – მიმართული რუსეთის, ჩინეთის, ირანის წინააღმდეგ. ამას ერთვის პენტაგონის მცდელობა, მიაღწიოს ყაზახეთის ხელისუფალთა თანხმობას კასპიის ზღვის პორტ ოქტაუში ამერიკული სამხედრო-საზღვაო პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით.**

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ აშშ-მა აირჩია მსოფლიო ჰეგემონიის კურსი და ამ გზაზე ძალით და დაშინებით ოპონენტების დამორჩილების მეთოდი. ამგვარი პოლიტიკა იწვევს მზარდ წინააღმდეგობას და ამწვავებს საერთაშორისო ურთიერთობებს.

ვაშინგტონის მოქმედება იწვევს არა მარტო რუსეთს, არამედ ჩინეთს, რომელიც სწრაფად ვითარდება. მისი საგარეო პოლიტიკა უფრო ენერგიული ხდება, თანაც შემტევი, ხისტი. დენ სიაოპინის დარიგება ჩინეთისთვის – ნაკლები ყურადღება საერთაშორისო პერიპეტიებზე, მეტი – ქვეყნის მშენებლობაზე ანუ არ „გამოხტე“, თანამედროვე ჩინეთს აღარ ესადაგება, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩინეთის სიმძლავრე გარდაუვალი, თვალშისაცემი გახდა და ასეთ დროს სულაც არ არის გამორიცხული ჩინურ პოლიტიკურ ელიტაში „ველიკოჩინური“ ტენდენციების წარმოშობა. „ველიკოჩინელებს“ სურთ მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო პროცესებში, რასაც მისგან სხვა ქვეყნებიც ითხოვენ.

**ვაშინგტონი, შეშინებულია იმით, რომ ჩინეთი ეწინააღმდეგება აშშ-ის ჰეგემონიზმს. პასუხად, იწყებს სამხედრო ძლიერების თავმოყრას ჩინეთის ირგვლივ, რითაც ცდილობს ჩინეთის შეჩერებას. ამ შემთხვევაში ჩრდილო კორეის კარტის გათამაშება შესანიშნავი მანევრირების საშუალებას აძლევს აშშ-ს.**

ხშირად ამბობენ, რომ პოლიტიკა ბინძური რამ არის. რა გაეწყობა ამ სიბინძურით ცხოვრობს მსოფლიო. ამ სიბინძურეს შეეგუა ხალხის გარკვეული ნაწილი, ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია პოლიტიკაში. უმრავლესობა კი ბრბოა – ხელისუფლებისადმი დამჯერი.

რეგიონში შექმნილი დაძაბულობით სარგებლობს აშშ, რომელიც ჩინეთის ირგვლივ თავს უყრის დიდძალ შეიარაღებას. ამერიკის პრეზიდენტის, პოლიტიკოსების „გულშიჩამწვდომი“ განცხადებები, ფხენიანისადმი მოწოდება, შესანიშნავი „გარნირია“ მთავარი კერძისთვის. და გასაკვირი ამაში არაფერია.

ავიღოთ მაგალითად სირია. ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია ვაშინგტონის შეშფოთება სირიის ქიმიური იარაღის გამო, მაგრამ, როგორც დასავლური წყაროები წერენ, „შეშფოთება“ მხოლოდ ფართო მასებისთვის არის გამიზნული, რეალურად, დროდადრო ხდება ქიმიური ობიექტების უსაფრთხოების შემოწმება ამერიკელი სპეციალისტების მიერ, რომლებიც სირიაში შედიან, ვითარცა იორდანელი სპეციალისტები, ცხადია ოფიციალური დამასკოს თანხმობით.

**ავიღოთ მეორე მაგალითი – თალიბანთან მოლაპარაკება. აშშ რახანია ხვდება თალიბანის წარმომადგენლებს ყატარში. თვალთმაქცობის ერთ-ერთი მაგალითი იყო გაეროში პალესტინის სასარგებლო კენჭისყრა. გახსოვთ ალბათ, ამ საქმეში საქართველოც გარიეს. ოფიციალურმა ვაშინგტონმა „შეიცხადა“ კენჭისყრის შედეგები და განაცხადა, რომ ის არ წაადგება პალესტინას. კულუარულად კი ვაშინგტონმა გაეროს წევრ ქვეყნებს ურჩია, მხარი დაეჭირათ პალესტინისთვის. მხარდაჭერა აშშ-ის მოკავშირე ისრაელის წინააღმდეგ იყო მიმართული. რა გაეწყობა, ასეთია ეს ქვეყანა (აშშ) ჰეგემონიზმის შესანარჩუნებლად მისთვის დიპლომატიური მაქინაციებიც მიღებულია, თუნდაც ის მისი სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ იყოს მიმართული.**

ჩრდილო კორეა კარგა ხანია იპყრობს ყურადღებას. კარგა ხანია ვაშინგტონი დგამს ჩრდილო კორეის რაკეტების „თავდასხმისგან“ დასაცავ ნაბიჯებს. ერთ-ერთი ასეთი არის თავდაცვის მინისტრის ჰეიგელის გადაწყვეტილება ალასკაზე სტრატეგიული, შემკავებელი რაკეტების გაზრდის თაობაზე.

2017 წლისთვის მსგავსი სისტემების რაოდენობა 30-დან 74 ერთეულამდე გაიზრდება. გარდა ამისა იაპონიაში დაიდგმება ახალი რადარი, რომელიც ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გამართული მოქმედებისთვის არის გამიზნული. წყნარ ოკეანეში უკვე დაცურავს 26 სამხედრო გემი, აღჭურვილი Aegis სახის შემკავებელი სარაკეტო სისტემებით. სამხრეთ კორეასა და იაპონიაში განლაგდებიან Patriot-3 სახის რაკეტსაწინააღმდეგო ბატარეიები. აღნიშნული სისტემები უზრუნველყოფენ ჩრდილო კორეის შეიარაღებაში არსებული მცირე და საშუალო რადიუსის რაკეტების თავდასხმების ნეიტრალიზებას.

ჰეიგელის გადაწყვეტილება ეხმიანება პენტაგონის ერთი წლის წინანდელ განცხადებას – აშშ-ის სამხედრო პოლიტიკის აზია-წყნარი ოკეანის სივრცეში გადატანის თაობაზე. ჩრდილო კორეის სარაკეტო თავდასხმის საბაბით, წყნარ ოკეანეში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება, მიანიშნებს აშშ-ის სურვილზე გაანეიტრალოს ჩინეთის სარაკეტო-ბირთვული ძალები.

ამერიკელთა მონაცემებით, ჩინეთს აქვს 50-დან 75-მდე კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა. წყნარ ოკეანეში შექმნილი ამერიკული ანტისარაკეტო სისტემები შეძლებენ ჩინური რაკეტების განეიტრალებას. აშშ არ აპირებს ჩინეთთან დადონ ურთიერთგანადგურების ხელშეკრულება. ასეთი მას ჰქონდა საბჭოეთთან.

ამერიკელებს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედი სახელმწიფოების შავი სია აქვთ შედგენილი. სიის თავში რახანია ორი სახელმწიფო ფიგურირებს – ჩრდილო კორეა და ირანი. ვაშინგტონს ორივესთან მიმართებაში უმკაცრესი კურსი აქვს აღებული, სადაც პირველ პლანზეა წამოწეული ეკონომიკური სანქციები.

ვაშინგტონი ცდილობს, ამ გზით ხელი აალებინოს ამ ქვეყნებს ბირთვული კვლევებისგან, თუმცა უშედეგოდ, ვინაიდან საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, აწარმოოს ბირთვული კვლევები საკუთარი წინსვლისა და განვითარებისთვის.

რაც შეეხება ირანს – აქ სხვა ვითარებაა, გაცილებით პროგნოზირებადი, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ჩრდილო კორეიისა და ირანის ერთ ქვაბში ჩაყრა მხოლოდ უცოდინრობის ბრალია. ჩრდილო კორეა არის ჩაკეტილი სხელმწიფო, სადაც მკაცრი კომუნისტური რეჟიმია – შესაბამისი შედეგებით.

სხვა ვითარებაა ირანში, სადაც არსებობს მთავრობა და მისი მაკონტროლებელი პარლამენტი. ორივეს ერთად ზედამხედველობს ქვეყნის არჩეული სულიერი ლიდერი ჰამენეი. ირანში სისტემატურად იმართება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ა.წ. ივნისში ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას ველარ მიიღებს ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი აჰმადინეჟადი. ის ზედიზედ ორჯერ იყო არჩეული პრეზიდენტად, ზედიზედ მესამედ არჩევას ირანის კონსტიტუცია კრძალავს. აჰმადინეჟადს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში ერთი ან რამდენიმე საპრეზიდენტო ვადის გავლის შემდეგ.

**ირანი ის ქვეყანაა, რომელიც ჩართულია მსოფლიო ინტერნეტის ქსელში. ამ ქვეყანაში უხვადაა არასამთავრობო ორგანიზაციები. მთელს მსოფლიოში ცნობილია ირანის მიღწევები ეკონომიკაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, განსაკუთრებით მედიცინაში. ირანის კინემატოგრაფია დიდ წარმატებებს აღწევს საერთაშორისო კინოფესტივალებზე.**

რაც შეეხება ბირთვულ კვლევებს – ირანი თანამიმდევრულად ახორციელებს მას. ურანის გამდიდრებით ირანს ფართო გზა აქვს გახსნილი სამედიცინო დარგებში სიღრმისეული კვლევებისთვის. დასავლეთს არ სჯერა ირანის ხელისუფლების განცხადების, რომ ის არ ამზადებს ბომბს.

**დასავლეთს არც ფეტვის სჯერა, რომელიც სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამეინიმ გამოსცა. მის მიხედვით, ირანს ეკრძალება მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება. დასავლეთს არ სჯერა, რომ ფეტვა ისლამურ ირანში აუცილებლად შესასრულებელი რამ არის, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი შიიტი მუსლიმანი.**

**არ სჯერა, თუ არ უნდა დაიჯეროს? იქნებ არ უნდა, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი ეკარგება ირანისგან მტრის ხატის, ახლო აღმოსავლეთში მუდმივი დაძაბულობის შექმნას. „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო“ – ეს ანდაზა თავისუფლად შეიძლება მივუყენოთ ვაშინგტონის პოლიტიკას. მას, რომ სურვილი ჰქონდეს, ჩრდილო კორეასა და ირანთან საერთო ენას დიდი ხანია გამოძებნიდა. ასეთ შემთხვევაში აღარ იქნებოდა პოლიტიკური ამღვრეული წყალი და მასში უკონტროლო ხელის ფათური. მღვრიე წყალში ამერიკული ხელის ფათურის გარეშე კი არც მსოფლიო ბატონობა იქნებოდა და არც დევიზი „იცხოვრეთ ამერიკულად“.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## თარიღი

**გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდა მკვლევართა და სპეციალისტთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გივი ცინცაძე ქართული ინტელიგენციის იმ პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც ათეულობით წელიწადია დაუღალავად იღვწის ქართული მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის.**

გივი ცინცაძე დაიბადა 1933 წლის 18 აპრილს, ქალაქ თბილისში, მაღალი სულიერი და მორალური ღირებულებების მატარებელ პედაგოგთა ოჯახში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშივე გამოვლინდა მისი შემოქმედებითი ნიჭიერება და სწრაფვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისაკენ.

1965 წელს დაამთავრა მოსკოვის ნ. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კოორდინაციული ნაერთების კრისტალოქიმიის დარგში. 1968 წელს სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად მიავლინეს ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე, სადაც მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები დაამყარა კოორდინაციული ქიმიის დარგის გამოჩენილ მეცნიერებთან. სწორედ იმ წლებში ჩაეყარა საფუძველი უკრაინელი და ქართველი ქიმიკოსების ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს, რაც უდიდეს როლს ასრულებს ორივე ქვეყნის ქიმიის განვითარების საქმეში. 1971 წელს გ. ცინცაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ლითონების ციანატური, თიოციანატური და სელენოციანატური ნაერთების გამოკვლევა“.

უაღრესად ფართო და მასშტაბურია გივი ცინცაძის მეცნიერული მოღვაწეობის დიაპაზონი. იგი ცნობილია არაორგანული, კოორდინაციული და სტრუქტურული ქიმიის, კრისტალოქიმიის, სპექტროქიმიის, კვანტური ქიმიის, ქიმიის ისტორიის სფეროში შესრულებული ნაშრომებით. მეცნიერი ხუთ ასეულზე მეტი გამოკვლევის ავტორია, რომელთა რიცხვშია მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საავტორო მოწმობები. ფართოა მისი სამეცნიერო შრომების ციტირების არეალი.

გივი ცინცაძის კვლევის ძირითადი მიმართულება კოორდინაციული ნაერთების სინთეზის ახალი მეთოდების შემუშავებასა და მათი კრისტალოქიმიის შესწავლას ეხება. ამ სამუშაოთა ბაზაზე შეიქმნა კოორდინაციული ქიმიის არსებითად ახალი დარგი — ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების ქიმია. შთამბეჭდავია გამოკვლევები ბიოარაორგანული ქიმიის დარგშიც, რომელმაც საიმედო ფუნდამენტი შეუქმნა ბიოლოგიური აქტივობის მექანიზმის გაგებას. მისი მოღვაწეობა ვრცელდება არა მარტო ფუნდამენტურ თეორიულ კვლევებზე, არამედ გამოყენებით ხასიათსაც ატარებს; ამ გამოკვლევებმა საფუძველი დაუდო მრავალი ახალი ბიოკოორდინაციული სამკურნალო პრეპარატის შექმნას. მეცნიერის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებსაც.

# მონოლითური პიროვნება



გივი ცინცაძე არის საერთაშორისო რეზონანსის მქონე არაერთი მონოგრაფიის ავტორი. ერთ-ერთი, „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია“ გამოიცა გერმანულ ენაზე ბერლინში, (1979 წ); რუსულ ენაზე კი ქ. კიევში (1981 წ.). აღნიშნული ნაშრომი გამოსცა საერთაშორისო გამომცემლობამ „ELSAVIERM“-მა სახელწოდებით „Chemistry of Pseuduhalides, monograph 21 (ამსტერდამი, ოქსფორდი, ნიუ-ორკი, ტოკიო).

მკვლევარის შრომებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობა ამ ქრონოლოგიურ ჩამონათვალშიც ნათლად ჩანს: ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს — ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). 1990 წელს კოორდინაციული ქიმიის სფეროში შესრულებულ ნაშრომთა ციკლისათვის „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია“, უკრაინელ და გერმანელ მეცნიერებთან ერთად დაჯილდოვდა უკრაინის სახელმწიფო პრემიით. 1998 წელს ნაშრომისათვის „მეტალთა კოორდინაციული ნაერთები — სინთეზი, აღნაგობა, თვისებები“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. 1994 წელს არჩეულ იქნა ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად; 2007 წელს კი — რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. არის აგრეთვე ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გივი ცინცაძის ღვაწლი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი მოწაფეები, რომელთა რიცხვი ორმოცდაათს აღემატება, ნაყოფიერად მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, კანადა, ახალი ზელანდია, თურქეთი). კოორდინაციული ქიმიის გამოჩენილი მკვლევარი ამ დარგში ქართული მეცნიერული სკოლის დამაარსებელი და მეთაურია.

ფართომასშტაბიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად მეცნიერის ნაყოფიერ სასწავლო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. 1965 წლიდან დღემდე მოღვაწეობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე, სადაც გაიარა საინტერესო შემოქმედებითი გზა ასისტენტიდან-პროფესორამდე. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ანალიზური ქიმიისა და ზოგადი ქიმიისა და არაორგანული ქიმიის კათედრებს. 1992-1995 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, 1995-1997 წლებში — ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. შეთავსებით ხელმძღვანელობდა პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექს-ნაერთების ქიმიისა და რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიებს. ათეულობით წელი ლექციებს კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ამავე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

დიდია გივი ცინცაძის დამსახურება საშუალო და უმაღლეს სკოლებში ქიმიის სწავლების სრულყოფის, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტებისა და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

2005 წელს გივი ცინცაძე აირჩიეს ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობა, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო პრემიები, ტარას შევჩენკოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი და გიორგი ნიკოლაძის მედალი, ღირსების ორდენი, ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ვერცხლის მედალი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედალი „მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისათვის“ — მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის საყოველთაო აღიარების ნათელი დასტურია.

გივი ცინცაძე დღესაც აგრძელებს აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას: არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; მრავალი სამეცნიერო კონფერენციის, სესიისა და ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; ჟურნალების: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ (ქიმიის სერია), „საქართველოს ქიმიური ჟურნალი“, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომების სარედაქციო კოლეგიების წევრი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სრული პროფესორი, სადაც მისთვის ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით უძღვება ახალგაზრდა თაობის აღზრდას. ახლახან მის მიერ უკრაინელ ავტორებთან ერთად მომზადდა და ქართულ ენაზე გამოიცა ფუნდამენტური კლასიკური სახელმძღვანელო „კოორდინაციული ქიმია“.

აკადემიკოს გივი ცინცაძის მიერ გავლილი ცხოვრების გზა, მისი საერთაშორისო სამეცნიერო ავტორიტეტი, საერთო საზოგადოებრივი აღიარება და პატივისცემა ქვეყნისათვის გაწეული თავდადებული ღვაწლის ჭეშმარიტი დადასტურებაა.

ვულოცავთ ბატონ გივის დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებით ნაყოფიერებას. დაე, კვლავ, ჭაბუკური ენერგიითა და დაუცხრომელი შემართებით დიდხანს ემსახუროს საყვარელ საქმეს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

## ჟურნალი

# ეს უკვე სერიოზული განაცხადია

## გამოვიდა „ამერ-იმერის“ მეორე ნომერი

**შარშან ქართულ პერიოდულ პრესას კიდევ ერთი წევრი შეემატა: გამოვიდა ალმანახი „ამერ-იმერი“. თავისთავად, ეს ფაქტი, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ გარდაქმნათა ფონზე, ერთობ სასიხარულო გახლდათ, მაგრამ კირკიტა მკითხველს მაინც გაუჩნდა კითხვები — ჟურნალ-გაზეთების „შვავში“ ახალი გამოცემა რითი გამოიჩენდა თავს, ისეთ რა საკითხებს წამოჭრიდა, ყურადღება რომ მიექცია?**

ამ კითხვებზე ალმანახმა პირველივე გვერდებზე გააკეთა განაცხადი. მხედველობაში მაქვს ვაჟა-ფშაველას, მუხრან მაჭავარიანის ლექსები, ლუკიანე სამოსატელის წერილი და დუვამიშელთა ბელადის სიტყვა. დანარჩენი, რაც შემოგვთავაზა, ხსენებულ პუბლიკაციათა საერთო იდეის გამოძახილი გახლდათ.

და აი, წლეულს, დედაენის დღეს — 14 აპრილს „ამერ-იმერი“ უკვე ჟურნალის სტატუსით მოგვევლინა. მრავლის მთქმელია გარეკანის შიდა გვერდზე გამოტანილი ორი ფოტოსურათი — პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თანამოაზრეებს ესაუბრება, ხელში კი „ამერ-იმერი“ უჭირავს. შემთხვევითი არ არის ჭაბუა ამირეჯიბთან გადაღებული მეორე ფოტოც. ამ სურათების შემხედვარე მკითხველს სასიამოვნო განცდა ეუფლება: ხელისუფლება ქართული მწერლობისკენ შემობრუნდა!




დღევანდელ ვითარებაში მაინც საპროგრამოდ მეჩვენება **ჯანსუღ ჩარკვიანის** ლექსი **„ვისია საქართველო?“** ჩემი აზრით, სწორედ ამ საჭირბოროტო კითხვის პასუხს შეიცავს მშენებელ რომან ოდიკაძის წერილი **„იმედია, მწარე სინამდვილე დამთავრდება!“** და არა მარტო ეს: „ამერ-იმერმა“ განმეორებით შემოგვთავაზა დუვამიშელთა ტომის ბელადის სიტყვა და ამით ხაზი გაუსვა მისწრაფებას — **თავისი ხალხის ცხოვრებით იცხოვროს და პროპაგანდა გაუწიოს ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწილის მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ეროვნულ ღირებულებებს.**

ჟურნალი თემატურად მრავალფეროვანია. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი 35 ავტორის ნაკალმარის შეფასებას არ შევუდგები, მაგრამ „ასარჩევიდან“ ამოკრებილ რუბრიკებს კი დავიმოწმებ: **„ქადაგება, ეპისტოლე“, „ქართული პოეზია“, „ქართული პროზა“, „ესსე“, „საზღვარგარეთული პოეზია“, „საზღვარგარეთული პროზა და სხვა...“ „კრიტიკა“, „პოლემიკა“, „წერილები“, „ადამიანი, ფსიქოლოგია, სიცოცხლე“, „ხელოვნება“, „მწერლის უბის წიგნაკი“.** მკითხველმა უნდა იგულისხმოს, რომ ყოველ სტრიქონში არის ცდა იმ კითხვებზე პასუხის გაცემისა, რასაც ზემოთ შევეხე და რაც ასე აწუხებს ქვეყნის მომავალზე დაფიქრებულ ყოველ ადამიანს.

მომიტევონ იმ კოლეგებმა, ვისი გვარების მოხსენიებასაც წერილის შეზღუდული ფორმატის გამო ვერ ვახერხებ, მაგრამ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ჩემთვის დღემდე უცნობი ავტორის **ლევან ბებურიშვილის** ვრცელ პუბლიკაციაზე **„მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება!“**

ეს არის ერთი ნამუსიანი მკვლევარის სულის კივილი იმ უხამსობათა გამო, რაც ამ ბოლო წლებში ზოგიერთი ვაიმწერლის ნაცოდვილარში „გამობრწყინდა“.

იხ. 9 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

⊙ წარდგენილია ეროვნულ პრემიაზე

# „ის საერთაშორისო დონის გამორჩეული მეცნიერია“



**ის თამაზ ვაშაყმაძე გახლავთ, — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო (ემერიტუს) პროფესორი, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირებისა და რიცხვითი მეთოდების მიმართულების თანახელმძღვანელი. მთლიანად სათაური კი იმ რეცენზიიდან ავიღეთ, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში (ხელმძღვანელი, აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე) რომ დაიწერა 2013 წლის საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად თსუ-ის მიერ წარდგენილ თამაზ ვაშაყმაძის ნაშრომთა ციკლზე. მასში ამ მუდამ მაძიებელი, კალამდაუდებელი მკვლევარის 8 ნაშრომი — 2 მონოგრაფია და 6 სამეცნიერო სტატიაა შესული, რომელთაგან ბოლო 3 დათარიღებულია 2012 და 2013 წლებით; ასე რომ, „კალამდაუდებელი“ მარტო ლამაზი სიტყვისთვის როდი გვითქვამს...**

2 მონოგრაფიიდან „ანიზოტროპული დრეკადი ფილების თეორია“ მაღალპრესტიჟული კლუვერისა და შპრინგერის გამომცემლობის მიერ ორჯერაა დასტამბული (1999 და 2010 წლებში); ეს ფუნდამენტური ნაშრომი ძირითად ლიტერატურულ წყაროდ ითვლება სათანადო პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისათვის ევროპასა და აშშ-ში; არაერთგზის ბესტსელერადაცაა მოხსენიებული ნაირ-ნაირ ვებ-გვერდზე; ხოლო კანისა და ძვლის დაავადებაში, ანიზოტროპული არაერთგვაროვანი სხეულების შესწავლასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ სახელმძღვანელოდაც გვევლინება!

თამაზ ვაშაყმაძის ფორმულირებული პრინციპის თანახმად, რომელიმე კონკრეტული ნივთიერებისთვის აღმოჩენილ ფენომენს უნივერსალური ხასიათი აქვს და სამართლიანია მყარი სხეულისათვის, სითხისა და გაზისათვის, უწყვეტი პლაზმური გარემოსათვის. მანვე დააზუსტა მორის ბიოს ჩამოყალიბებული პასკალ-დარსის კანონი ფოროდრეკადი სხეულებისთვის.

თამაზ ვაშაყმაძეს ეკუთვნის თხელკედლოვან დრეკად სტრუქტურათა ერთიანი წარმოდგენა, რომელიც საშუალებას იძლევა ე. წ. გადასვლის ცდომილებისათვის გაუუმჯობესებადი შეფასების მიღებისა, რაც თავისთავად უარყოფითი ხასიათის დებულებაა. ამგვარი შეფასების პრინციპული მხარე დრეკადი რხევადი ფირფიტებისათვის ხლადნის ექსპერიმენტის ანალოგიურია. ამ დარგის მრავალი გამოჩენილი მკვლევარი (ეილერი, ლაგრანჟი, ნავიე, კირჰოფი, პუანკარე, ფონკარმანი, ტიმოშენკო, ილია ვეკუა, კოიტერი, ბოლი, სიარლე) ფიქრობდა, რომ მათი მოდელები თხელკედლოვანი ფირფიტების შემთხვევაში საიმედოა. თამაზ ვაშაყმაძემ დაამტკიცა, რომ ხსენებულ ავტორთა ყოველი თეორია შესაძლოა იყოს რა გინდ უხეში.

მსოფლიოში სახელგანსმენილი მეცნიერები ერთობ მაღალი აზრისა არიან თამაზ ვაშაყმაძის მათემატიკურ შემოქმედებაზე. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შეხედულება მოგვყავს:

„გამოთვლით მათემატიკაში პროფესორ თამაზ ვაშაყმაძის შედეგები განაზოგადებს და აზუსტებს რამდენიმე კლასიკურ შედეგს სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევაში, მიახლოებით ამოხსნასა და რიცხვით რეალიზაციაში. მისი შემოქმედებითი ფენომენი გამორჩეულია სიღრმით, ფართო გაქანებითა და ორიგინალურობით“ — სოლომონ მიხლინი, პეტერბურგელი აკადემიკოსი; „თამაზ ვაშაყმაძე ის შესანიშნავი სწავლულია, ვინც ღირსეულად აგრძელებს მუსხელიშვილი-კუპრაძე-ილია ვეკუას განთქმული მათემატიკური სკოლის ტრადიციებს“ — როსტოველი აკადემიკოსი იოსიფ ვოროვიჩი; „თამაზ ვაშაყმაძე გახლავთ XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ფრიად გამორჩეული მკვლევარი თეორიული და გამოყენებითი მექანიკის დარგში. იგი უცილობლად უნდა ჩაითვალოს გამოთვლითი მექანიკის დარგის დამფუძნებლად, უმნიშვნელოვანესი შედეგების მქონე, ფართო დიაპაზონის ავტორად, რომლის მაღალ დონეზე შექმნილ და საერთო აღიარების ნაშრომთა მთელ წყებას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს საქართველოში მეცნიერებისა თუ სულიერი ცხოვრების განვითარებაში“ — ფლორიდის ატლანტიკის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი ისააკ ელიშაკოვი (ბატონი ისაააკის ნათქვამი თამამად შეიძლება განვავრცოთ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულზეც... — **თ. ე.**).

...ზემოხსენებულ რეცენზიაში ფრაზა „ის საერთაშორისო დონის გამორჩეული მეცნიერია“ ასე გრძელდება: „რომელიც ღირსია ეროვნული პრემიის მინიჭებისა“.

რიცხვით ანალიზში მიღებული თამაზ ვაშაყმაძის შედეგები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის თანხლებით, წარდგენილია, აგრეთვე, გაუსის პრიზზე, რომელიც გაისად, სეულში „გათამაშდება“. მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესზე (გერმანელი კარლ ფრიდრიხ გაუსი მე-19 საუკუნის უდიდესი სწავლულია, სიცოცხლეშივე აღიარებული „მათემატიკოსთა მეფედ“ — **თ. ე.**), 2013 წლის საქართველოს ეროვნულ პრემიასთან ერთად, ბატონ თამაზს ვუსურვოთ 2014 წლის გაუსის პრემიის მოპოვებაც, რომლის ღირსიც ასევე არის...

**თამაზ ეზანოიძე**

⊙ ჟურნალისტური გამოძიება

# გზა საბოლოო ნგრევისკენ,

## ანუ იცნობდეთ სამამულო საავტომობილო გზების დარგის მესაფლავეებს!..

**ჩვენი სააგენტოს მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების ანალიზი, რომელიც 2004-2013 წლებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირველი პირების საქმიანობას ეხებოდა, მყარ საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ თვალთმაქცობა მათთვის დარგის ნგრევის და პირადი გამდიდრების მთავარი შეუცვლელი ბერკეტია. და სწორედ აღნიშნულის შედეგია, რომ დღეს საქართველოს საავტომობილო გზების დარგში მომუშავე სამამულო ორგანიზაციების უმრავლესობა ფაქტობრივად გაბანკროტებულია.**

ხსენებულ პერიოდში დარგის განვითარების და ქვეყანაში გზების მშენებლობის მოცულობის ზრდის პანაცეად ხელისუფლება მიიჩნევდა მსოფლიოს ამა თუ იმ უმსხვილეს საფინანსო საკრედიტო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავებას, რომელთა შორის პირველნი არიან მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ფონდი და აზიის ბანკი.

მიიჩნევდა ამას საჭიროდ და იღებდა კიდეც მათგან ასობით მილიონიან ე.წ. „შეღავათიან“ კრედიტებს, რომელთა გასტუმრებისთვის ქვეყნის ყველა მოქალაქეა პასუხისმგებელი.

**ამ დროს კი ხსენებული კრედიტების ორ მესამედზე მეტი აითვისეს უცხოურმა კომპანიებმა! და ეს მაშინ, როცა სამუშაოთა 80-90 პროცენტი დარგის ადგილობრივ ორგანიზაციებს აქვთ შესრულებული!**

მაინც ვინ იყო და არის სამამულო საავტომობილო გზების დარგის განადგურების უშუალო ორგანიზატორი 2004-2013 წლებში?

2004-2008 წლებში დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო რ.დალაქიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე კი 2012 წლის ჩათვლით გახლდათ გ.წერეთელი. 2009-2012 წლებში თავმჯდომარედ მუშაობდა რ.ნიკოლაიშვილი, 2004 წლიდან დეპარტამენტის თავმჯდომარის დღემდე მოქმედი მოადგილეა ი.ლითანიშვილი. **რაც შეეხება დეპარტამენტის ამჟამინდელ თავმჯდომარეს ზ.ხუნძაყიშვილს, იგი „ღირსეულად“ აგრძელებს წინამორბედთა გზას და დასასრულამდე მიჰყავს სამამულო საავტომობილო გზების დარგის ნგრევის პროცესი.**

აღსანიშნავია, რომ ზ.ხუნძაყიშვილმა, როგორც ჩვენმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ დაადგინა, გუდაურში სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო (იგი დღესაც დაუსრულებელია) ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნ.გილაურის უშუალო მფარველობით. დარგში კი ისეთი უმძიმესი მდგომარეობაა შექმნილი, რომ მალე საქართველოში სანთლით იქნებიან საძებნი სამამულო საავტომობილო გზების დარგის ადგილობრივი სპეციალისტები.

ჩვენმა სააგენტომ საკითხთან დაკავშირებით განვლილი წლების განმავლობაში მრავალჯერ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, რომელთა შედეგები სტატიების სახით დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და დღესაც მსურველს შეუძლია გაეცნოს მათ ინტერნეტის მეშვეობით.

**გამოძიების შედეგები სააგენტომ ასევე აცნობა როგორც გენერალურ პროკურატურას, ისე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსაც, მაგრამ მათ არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ, რითაც, უსირცხვილოდ ფარავდნენ რა ჩვენს მიერ გამოძიებული დანაშაულებრივი ფაქტების არსებობას, თავადვე ხდებოდნენ იმავე დანაშაულის თანამონაწილენი.**

რა ხდება დღეს?

ჩვენ რამდენიმეჯერ მივმართეთ საქართველოს მთავრობას, რომლისგანაც ჩვენი წერილები გადაეგზავნება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ამით მთავრდება ყველაფერი.

უპასუხოდ დარჩა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ზ.ხუნძაყიშვილისთვის გაგზავნილი მრავალი მიმართვაც, რადგან **მის მიერ გამოგზავნილი ზოგადი, არაფრის მთქმელი პასუხები სხვა არაფერია, თუ არა პროფანაცია და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება.**

არადა, ზ.ხუნძაყიშვილის „დამსახურებაა“, რომ „სამტრედია-გრიგოლეთის“ საავტომობილო გზის ტენდერში ისევ უცხოელები გაიმარჯვებენ, სამუშაოებს კი თითქმის მთლიანად სამამულო ორგანიზაციები შეასრულებენ, ხოლო მოგების უდიდეს ნაწილს სახელმწიფო დაბეგვრის გარეშე წაიღებს ე.წ. უცხოური კომპანია. **დიახ, სწორედაც რომ, ეგრეთ წოდებული, რადგან სინამდვილეში ის მხოლოდ დასახელებითაა უცხოური, თორემ მისი რეალური მფლობელები და ოფშორულ ზონებში დამფუძნებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთა გაკონტროლება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ოფიციალურად შეუძლებელია.**

**შექმნილ მდგომარეობაში აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებაში სამამულო საავტომობილო გზების დარგთან დაკავშირებით შეიქმნას სათანადო სახელმწიფო კომისია, რომლის მუშაობასაც აქტიურად გააკონტროლებს ჩვენი მასმედიაც. ამ კომისიის მთავარი მიზანი და ამოცანა უწინარესად უნდა იყოს დარგის განვითარებისთვის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.**

**ვაჟა კელეურიძე,**
**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“




⊙ ინფორმაცია

## ქარიშხალი ტყიბულში

**ტყიბულის რაიონში ძლიერმა ქარმა საცხოვრებელი ბინები დააზიანა, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი ხაზები.**

**ელექტროენერგია არ მიეწოდება სოფელ მუხურის, საწირის, სოჩხეთის, ხრესილის თემის სოფლების მოსახლეობას. დაზიანებულია საერთო საცხოვრებელი ბინების სახურავები ტყიბულში დუმბაძის, ტყვარჩელისა და ბრეგვაძის ქუჩებზე და ასევე კერძო სახლის სახურავები ტყიბულსა და რამდენიმე სოფელში. სტიქიის შედეგად მოთხრილია ხეები, რამაც ელექტროსადენები დააზიანა. ამ დროისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში შექმნილია სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია, რომელიც ადგენს ტყიბულის მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარისაგან მიყენებულ ზარალს.**



**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს სომხეთთან და რუსეთთან დაახლოება

უკანასკნელ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ერთ-ერთ შეხების უმნიშვნელოვანეს წერტილად იქცა ღერძის – „სისტემური ჰეგემონია – მრავალპოლარულობა“ – ფარგლებში, დაიწყო საინტერესო სამოკავშირეო კავშირურთიერთობათა განვითარება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველომ შეცვალა საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც იცავდა ბალანსს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, და წინა პლანზე წამოსწია ევროატლანტიკური სამყაროს სისტემური ჰეგემონის კონცეფციასთან მიერთების იდეა. დღეს საქართველო ორიენტირებულია სომხეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაზე, ქვეყანასთან, რომელიც არის რუსეთის მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში და რომლის ტერიტორიაზეც არის რუსეთის სამხედრო ბაზა. თანაც, როდესაც ასეთ ნაბიჯებს დგამს, საქართველო თითქოს არ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას აზერბაიჯანისა და თურქეთის შესაძლო რეაქციას, რომლებთანაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იგი აღმოჩნდა ერთ რეგიონალურ ბლოკში და ავითარებდა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ურთიერთობას. ამ დროს ეს სიტუაცია მნიშვნელოვანი საკვანძო წერტილია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კონკურენციის სეისმური აქტივობა სამხრეთ კავკასიაში იზრდება.

სომხეთთან ურთიერთობის განვითარებაზე კურსის არჩევის მნიშვნელოვან მიზეზად უნდა განვიხილოთ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მომხრე მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც საქართველოში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2012 წლის შემოდგომაზე გამართული არჩევნების შედეგად თავისი გავლენა და უმრავლესობა პარლამენტში დაუთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით. თავად კოალიციის ლიდერმა, რომელმაც მძიმე დარტყმა მიაყენა სააკაშვილის პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტის არჩევნებზე, ამავე დროს დაიკავა პრემიერ-მინისტრის სავარძელი და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „კოჭლი იხვის“ მდგომარეობაში ჩააყენა. სააკაშვილმა მიიღო ხელფეხშეკრული პოლიტიკოსის სახე, რომელსაც არ აქვს უნარი მოახდინოს გავლენა, უწინარეს ყოვლისა, საგარეოპოლიტიკურ სტრატეგიაზე პარლამენტის მხარდაჭერის დაკარგვის გამო და „კონსტიტუციის შესაბამისად“ არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა 2013 წლის შემოდგომაზე სახელმწიფოს მეთაურის არჩევნებში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქართველო მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარდაქმნების ზღურბლზეა. ადრე სააკაშვილი ორჯერ იყრიდა კენჭს პრეზიდენტობაზე, და საქართველოს კონსტიტუცია არ აძლევს მას უფლებას წამოაყენოს თავისი კანდიდატურა მესამედ ამ პოსტზე. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ქვეყნის მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფს კავშირურთიერთობას თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, როგორც რეგიონალურ ბრძოლაში, ისე სისტემურში (ევროატლანტიკურ სამყაროსა და რუსეთს შორის), პოლიტიკური ცვლილებები საქართველოში წარმოქმნიან რამდენადმე სხვაგვარ ატმოსფეროს.

ბიძინა ივანიშვილის შემდგომი უპირატესობანი, რომელმაც, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, დაიკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი და გამოიყურება როგორც ფავორიტი მომავალ პრეზიდენტის არჩევნებში, განსაზღვრავენ ცვლილებების მიმართულებას საქართველოში. დოლარებით მილიარდერ ივანიშვილს, რომელმაც თავისი ქონება რუსეთში დააგროვა, აქვს საგარეო პოლიტიკის ერთობ რეალისტური კონცეფცია. მას ესმის, რომ საქართველო ვერ შეძლებს გახდეს ნატოს წევრი რუსეთის უთანხმოების გამო, ამიტომ აუცილებლად მიაჩნია გააუმჯობესოს ურთიერთობანი რუსეთთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის და ქართული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისთვის, ფიქრობს იმის აუცილებლობაზეც კი, რომ რუსეთთან ურთიერთობა გამოიყვანოს საშუალოვადიანი პერსპექტივის კავშირის დონეზე. როგორც ბიზნესმენს, მას ესმის, რომ რუსეთის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ღვინოსა და მინერალურ წყლებზე (საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელია) რუსეთის მიერ შემოღებული კვოტის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა აღმოჩნდა წარმოუდგენლად რთულ მდგომარეობაში. ივანიშვილს ასევე ესმის იმის აუცილებლობაც, რომ რუსეთმა შეწყვიტოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის იდეის მხარდაჭერა, და ეს საშუალებას მისცემს მიაღწიოს მიზანს – აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მართალია, საქართველოს ლიდერს უკავია პოზიცია, რომელიც დაკავშირებულია თურქეთთან და აზერბაიჯანთან რეგიონალური სამოკავშირეო ურთიერთობების შენარჩუნებასთან, რაც დამყარდა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური და ეკონომიკური მხარდაჭერის შედეგად, იგი საკმაოდ გულგრილად ეკიდება ამ კავშირით ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების რეალიზაციას, რომლებიც შეიძლება ხელსაყრელი არ იყოს რუსეთისთვის. ასეთი სახის ინიციატივებს ხომ შეუძლიათ გაზარდონ რუსეთის არსებული ზემოქმედება საქართველოზე, და მაშინ მისი ქვეყანა შეიძლება გახდეს სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური და სისტემური კონკურენციის ნაწილი. იმდენად, რამდენადაც ბიძინა ივანიშვილს ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს დამოკიდებულებას როგორც ხიდს თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ამ ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში, ის ძალისხმევას გამოიყენებს იმისთვის, რომ საქართველომ მიიღოს უფრო მეტი წილი.

ინიციატივა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც მცდელობა შეცვალოს საქართველოს რეგიონალური აღქმა, დაიწყო ერევანში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ერევანში ვიზიტიდან. საქართველოს და სომხეთის სხვადასხვაგვარი სისტემური უპირატესობანი და დაძაბულობა, რაც დაკავშირებულია საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონთან, სადაც უმრავლესობას ეთნიკური სომხები შეადგენენ, აღრმავებდნენ კრიზისს ორი ქვეყნის ურთიერთობებში. სომხეთის რეგიონალურ იზოლაციაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი თურქეთთან და აზერბაიჯანთან სხვადასხვა ერთობლივი სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების მეშვეობით, აგრეთვე საქართველოს განზრახვა მოახდინოს იმ გაზსადენის პრივატიზაცია, რომელიც რუსეთს სომხეთთან აერთიანებს, ნეგატიურად აისახებოდა სომხეთის შეხედულებაზე თბილისთან დამოკიდებულებაში. მაგრამ ფანჯიკიძის ერევანში ვიზიტის დროს დადებული შეთანხმებანი გვიჩვენებენ, რომ ორმხრივი ურთიერთობანი განვითარდება სწრაფი ტემპებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განზრახვას – გადაიდგას ნაბიჯები იმისკენ, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სომხეთის რეგიონალურ იზოლაციას საქართველოს და სომხეთს შორის მიღწეული შეთანხმებით საბაჟო-გამტარი პუნქტების ერთობლივი გამოყენებისა და საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გამარტივების, აგრეთვე სატრანსპორტო პროექტების რეალიზაციის საკითხებზე. ამასთან ერთად მზადყოფნაც – განახორციელოს ახალი რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ „უმცირესობათა უფლებების“ დაცვას (მხედველობაშია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები) – მოწმობს განზრახვის შესახებ, მეორე პლანზე გადაიტანოს სამცხე-ჯავახეთის კრიზისი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც შეეხნენ დადებულ შეთანხმებათა ფარგლებში, დაკავშირებულია ორი ქვეყნის მზადყოფნასთან ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ ერთიანი ბაზრის მეშვეობით. უეჭველია, ეს ინიციატივა ხელსაყრელია, უწინარეს ყოვლისა, სომხეთისთვის. ერთიანი ბაზრის იდეის წარმოქმნა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პროექტის პარალელურად, რაც რუსეთის მიერ არის ინიცირებული, საშუალებას გვაძლევს მივიდეთ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში რუსეთი შეეცდება მოახდინოს ამ სახელმწიფოთა ინტეგრირება ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. როგორც საქართველო, ისე სომხეთი – არიან ქვეყნები, რომლებსაც ორიენტაცია აღებული აქვთ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პროექტის შემადგენლობაში შესვლაზე, რაც მიზნად ისახავს ასევე ამ კავშირის გავრცელებას მთლიანად ევრაზიაზე. ამ ინიციატივის წარმატება და საქართველოს მიერთება ასეთ გაერთიანებასთან, შეიძლება ხელს უწყობდეს ევროატლანტიკური სამყაროს ჩამოშორებას სამხრეთი კავკასიის რეგიონიდან და მრავალპოლარულობის შესახებ რუსეთის კონცეფციის უფლებების ამოქმედებას.



მართალია, კონცეფციის მიზანი, რომელიც მიღწეულია საქართველოსა და სომხეთს შორის, არ გულისხმობს დიდ ცვლილებებს შინაარსის თვალსაზრისით, ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც იმ ფაქტის დადასტურება, რომ ეს ქვეყანა არის მნიშვნელოვანი მოთამაშე, უწინარეს ყოვლისა, თურქეთისა და აზერბაიჯანის პოზიციებიდან. ეს ინიციატივა ერთდროულად უნდა განვიხილოთ, როგორც გარკვეული გზავნილი ევროატლანტიკური სამყაროს მისამართით, რომელმაც ადრე შეძლო მიეერთებინა საქართველო სისტემური ჰეგემონიის თავიანთი დოქტრინისთვის. ივანიშვილის მთავრობა აწარმოებს განსაკუთრებულ მანევრს, მიზნად ისახავს – ხაზი გაესვას საქართველოს რეგიონალურ და სისტემურ ღირებულებას და, უწინარეს ყოვლისა, სურვილს მიიღოს საერთაშორისო მხარდაჭერა მთელ რიგ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მანევრი, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. თავდაპირველად ხომ უნდა გაკეთდეს სვლა გლობალურ ძალათა კონკურენციის საჭადრაკო დაფაზე, შემდეგ კი უნდა გადაწყდეს, თუ რა მიმართულებით უნდა გადაიდგას ნაბიჯები სამხრეთი კავკასიის რეგიონალურ სივრცეში, რომლის ნაწილიც არის თურქეთიც.

TUİÇ AKADEMİ

## დედამიწის ზურგზე




**ვარდისფერი ბრილიანტი, რომელიც ოდესღაც მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ადამიანს ეკუთვნოდა, გაიყიდა 39,3 მილიონ დოლარად**

ვარდისფერი ბრილიანტი „პრინცი“ გაიყიდა აუქციონის სახლის „ქრისტის“ ვაჭრობაზე, ის იქცა ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ძვირფასეულად მსოფლიოში. თავისი სახელი უნიკალურმა ბრილიანტმა მიიღო „ინდოელი უოლის სიმპსონის“ ვაჟიშვილის საპატივცემლოდ. თუმცა, „პრინცმა“ ვერ შეძლო დაემყარებინა ფასის რეკორდი, რომელიც ვარდისფერმა ბრილიანტმა „გრაფ პინკმა“ დაამყარა.

* * *

**ინგლისელმა საბაჟოს მოსამსახურემ განცხადება გათავისუფლების შესახებ ღვეზელზე დაბეჭდა**



აეროპორტის მუშაკმა გააოცა უფროსი, როდესაც მას შეუტანა წერილი წასვლის შესახებ არა ქაღალდის ფურცელზე, არამედ სტაფილოს ღვეზელზე. საბაჟოს მუშაკი, რომელიც იმ დღეს თავის 31 წლისთავს აღნიშნავდა, გათავისუფლების მიზეზად ასახელებდა იმას, რომ სურს მეტი დრო გაატაროს ოჯახთან და გაჰყვეს მცხობელის ბიზნესს. მის კოლეგებს დარჩათ „სასიამოვნო სასუსნავი“.

* * *

**ბლოგერები შეაშფოთა იმ ადამიანის ფოტომ, რომელმაც იგი გადაიღო ბოსტონში აფეთქებების დროს სახლის სახურავიდან**



სურათზე მამაკაცი თეთრ შარვალსა და მუქ ქურთუკში მიდის სახლის სახურავზე, რომელიც ფასადით იმ ადგილისკენაა, სადაც მარათონის ფინიშზე აფეთქების ხმა გაისმა. ბლოგერებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ფოტოზე, მართალია, აღბეჭდილია აფეთქების მომენტი, მაგრამ სახურავზე მყოფი კაცი არავითარ შეშფოთებას არ ავლენს, თითქოს იცის, რომ ეს უნდა მოხდესო.

* * *

**ჩავესის დროს ასეთი რამე არ ყოფილა: რუსეთი აკეთებს რისკს დაკარგოს სამხედრო დაკვეთები და იძულებული გახდება ეძებოს ახალი მეგობრები**

ორი ქვეყნის სანავთობო ურთიერთობას ძნელად რომ რაიმე ემუქრებოდეს, მიაჩნიათ ანალიტიკოსებს, აი საიარაღო კონტრაქტებთან დაკავშირებით კი საქმე უარესადაა. ამ საქმეს კურატორობას უწევდა პირადად ჩავესი. მადუროს კი ამჟამად ფული იარაღისთვის არ გააჩნია. ჩავესი ასევე რუსეთისთვის იყო გარანტი ლათინურ ამერიკაში ყოფნისა: „ვენესუელა იყო იმის ნიმუში, თუ რასთან უნდა ჰქონოდა რუსეთს საქმე“.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ბერლინალე: „არტ-ჰაუსის“ პრიზი – ქართულ ფილმს

# „გრძელი ნათელი დღეები“

**ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმს „გრძელი, ნათელი დღეები“ ბერლინალეზე უცხოური პრესა უდიდესი ინტერესით შეხვდა: „შესაძლოა, სწორედ საქართველო გახდეს შემდეგი პოსტსაბჭოთა ქვეყანა საკუთარი კინემატოგრაფიული ახალი ტალღით...“, „ფილმი გამოირჩევა მსუბუქი და კონვენციური სცენარით და ბრწყინვალე შესრულებით...“, „საქართველოს რეპუტაცია, როგორც ახალი კინემატოგრაფიული ტალანტების ეპიცენტრისა, კიდევ უფრო გამყარდა „გრძელი, ნათელი დღეებით“.**

**ლია ციცაგი-ვიტეკი ბერლინში შეხვდა ფილმის ავტორებს და ესაუბრა მათ.**

**– ქალბატონო ნანა, ბატონო სიმონ, ფილმის ნახვის შემდეგ პირველი, რა კითხვაც გამიჩნდა ეს არის: რატომ აირჩიეთ ეს პერიოდი საქართველოს ისტორიიდან, კერძოდ, 90-იანი წლების მათი სამყაროს დასაწყისი და მოზარდების პორტრეტის დახატვა? ამან რამდენად მოგცათ საშუალება, თქვენი სათქმელი ბოლომდე გეთქვათ?**

– 1990-იანი წლების დასაწყისი იმიტომ არ აგვირჩევია, რომ ეს დრო დრამატიზმითა და სირთულით იყო სავსე, ეს პერიოდი პირადად გამოვიარეთ. ინგრეოდა საბჭოთა კავშირი, საქართველო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, ქუჩები სავსე იყო ხალხით, დათარეშობდნენ შეიარაღებული კაცები, ქვეყანაში ნელ-ნელა ქრებოდა სიმშვიდე. ამ ნგრევის და გაურკვეველი სიახლის უშუალო მოწმენი და თანამონაწილეები გავხდით. ყოველივე ამის ფონზე, გვინდოდა გვეჩვენებინა, რა გადაწყვეტილებას იღებს ამ დროს მოზარდი, რომელიც შემდგომ საზოგადოების საყრდენი უნდა გახდეს. მაშინ კითხვები არ გვიჩნდებოდა, უბრალოდ, გაუცნობიერებლად ვიღებდით იმ ყოველდღიურ რეალობას, რაც ქვეყანაში სუფევდა.

მთავარია, მაყურებელი ჩაწვდა ფილმის გმირი გოგონების ხასიათს, მიხვდა, რა გავლენას ახდენს ეს აურზაური მოზარდის ფსიქიკაზე, მიხვდა, რა გზით შეიძლება წავიდეს მათი ცხოვრება და ჩვენც ეს გვინდოდა გვეჩვენებინა მაყურებლისთვის.

იმ პერიოდმა ქალისა და მამაკაცის ადგილი შეცვალა ოჯახში. აკი ფილმში ნათიას მამა გაკვირვებული კითხულობს, ჩემს სახლში აღარ მელაპარაკებითო. კაცები ფილმში უკანა პლანზე დგანან, უმოქმედოდ არიან. თუკი რამეს აკეთებენ, ესაა ჩხუბი, გაწევ-გამოწევა, უაზრო ბრძოლა. კაცების უმრავლესობა ომში იყო და ან ერთმანეთს ებრძოდა, ან არაფრისათვის იბრძოდა. ოჯახის მართვა ქალს დააწვა ტვირთად.

ბრძოლის, ჩხუბის სცენები მრავლადაა ფილმში. ამ მხრივ უმეტესად ისევ კაცები აქტიურობენ. ეს არის ჩვენი ქართველი კაცის ხასიათი. ახლაც კი, რატომ და რისთვის ვებრძვით ერთმანეთს? რატომ გვაქვს ეს აგრესია და რა ფენომენია ეს? დღეს, ხელჩართული ბრძოლა, მადლობა ღმერთს, აღარ უნდა გვჭირდებოდეს. დღეს გვჭირდება ინტელექტი, აზრიანი, გონივრული ქმედება, დიალოგი, რათა სწორი გზით წავიყვანოთ ქვეყანა და ერთმანეთი.

**– რამდენად მნიშვნელოვანია კოპროდუქცია, ამ შემთხვევაში, გერმანულ-ქართულ-ფრანგული და რაში შეგიწყოთ ხელი ამ თანამშრომლობამ?**

– ფილმის გადაღებას ვერ შევძლებდით, თუ არ ვითანამშრომლებდით გერმანელებთან და ფრანგებთან. მხოლოდ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ გაღებული თანხით ფილმს ვერ გადავიღებდით. თუკი გვჭირდება ქართული ფილმი და უეჭველად გვჭირდება, მაშინ ამ გზით უნდა წავიდეთ, კოპროდუქცია გვაქვს მხედველობაში. ჩვენი ფილმი სუფთა ქართულია, ქართველი მსახიობებით დაკომპლექტებული. ჩვენ უეჭველად კონტაქტი უნდა დავამყაროთ ევროპასთან. ეს ურთიერთთანამშრომლობა ორივე მხარისათვის სასარგებლოა. როდესაც სცენარი დავწერეთ და გერმანელებს წარვუდგინეთ, უყოყმანოდ დააფინანსეს. ჩვენ, ქართულმა მხარემ, ქართულ ფილმზე უნდა ვიზრუნოთ, ქართული ფილმის მომავალზე და მხოლოდ უცხოეთიდან არ უნდა ველოდოთ დახმარებას. ზემოთ ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, აუცილებელია ურთიერთთანამშრომლობა, კონტაქტის დამყარება უცხოელ კოლეგებთან და ამ ურთიერთობების გაფრთხილება, მაგრამ ქართველებმა ქართულ კინოს განსაკუთრებულად უნდა მივხედოთ. ჩვენი ქართული კინოს ესთეტიკა, ჩვენი გემოვნება, ქართული კინოს ტრადიცია, მისი ფენომენი ამ გზით, ურთიერთთანამშრომლობით უნდა მივაწვდინოთ ევროპელ მაყურებელს და არა მარტო ევროპელს.

**– ფილმში სოციალური და ფსიქოლოგიური თემები ერთგვარად გადაჯაჭვულია ეთნო-ფსიქოლოგიურ თემებთანაც. გარკვეული თვალსაზრისით, ფილმში ქართული ტრადიციები ნეგატიურად არის წარმოდგენილი. ხომ არ იქმნება იმის საშიშროება, რომ გერმანულენოვანმა და, საერთოდ, უცხოენოვანმა მაყურებელმა ფილმში ასახული „რეალობა„ უფრო მძაფრად, ბრუტალურ ასპექტში დაინახოს?**



– ჩვენი აზრით, მთავარია, რეალობა აღვწეროთ ზუსტად და არ უნდა შეგვეშინდეს, თუკი ამ რეალობაში რაიმე ცუდად, არასასურველად გამოჩნდება. ჩვენი ფილმის გმირები უხეშ სამყაროში ცხოვრობენ და უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, ამ ორომტრიალში, ამ სიუხეშეში, როგორ იბრძვიან და ცხოვრობენ, რა თვისებებს ავლენენ. ჩვენ უნდა ვქმნიდეთ ცხოვრების, რეალობის ნათელ, სწორ სურათს. ჩვენი ფილმი პროპაგანდისტული ხომ არ არის, ან სარეკლამო, რომ რეალობა შევალამაზოთ. ჩვენ გვაქვს ამბიცია, მოთხოვნილება იმისა, რომ რეალობა ფერ-უმარილის გარეშე, შეულამაზებლად ვაჩვენოთ. სხვათა შორის, გერმანულ კინოს აქვს პრობლემა – თემის არჩევის სითამამის ეშინია, როგორ დაინახავს საზოგადოება ამ ე.წ. თამამ თემებს. ჩვენ მაყურებელს ვთავაზობთ ისეთ გმირებს, რომლებიც შეცდომებს უშვებენ ცხოვრებაში. ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ამ შეცდომების ფონზე რას ხედავს მაყურებელი, როგორ აანალიზებს ამგვარი გმირების ცხოვრებას, რას სწავლობს და რა გაკვეთილს იღებს ამ შეცდომებიდან.

თუკი ევროპისაკენ მივისწრაფით, მაშინ ევროპამ ისეთებად უნდა გაგვიცნოს, დაგვინახოს, მიგვიღოს, როგორებიც სინამდვილეში ვართ. შეიძლება, ჩვენი ფილმის გმირები ორომტრიალში, უხეშ სამყაროში ცხოვრობენ, მაგრამ მაყურებლისათვის მთავარი უნდა იყოს, რა ფასეულობების, რა ღირებულებების მატარებლები არიან ეს გმირები. ევროპელ მაყურებელს არ აინტერესებს „ლამაზი“ ქართული ყოფა. მისთვის საინტერესოა რა ღირებულებებით ცხოვრობს იქ საზოგადოება. ჩვეულებრივი ადამიანები არიან საინტერესონი დასავლეთისათვის, და საერთოდაც, თავიანთი უბრალო ცხოვრებით, თავიანთი სასოწარკვეთილებით, სიხარულით, შინაგანი სამყაროთი თუ მსოფლმხედველობით.

ფილმში ჩვენი მიზანი ომის აღწერა არ იყო, ჩვენ არ გვინდოდა პოლიტიკას პირდაპირ შევხებოდით. ჩვენ გვინდოდა ომის ფონზე ამ ორი მოზარდი გოგონას ცხოვრებაზე მოგვეთხრო.

**– თქვენი ფილმის ოპერატორია ცნობილი რუმინელი ხელოვანი ოლეგ მუტუ. რატომ მოიწვიეთ მაინცდამაინც ოლეგ მუტუ და როგორ დაითანხმეთ იგი?**

– ჩვენ დიდხანს ვეძებდით ოპერატორს. რომელი ქვეყნიდან, რა ეროვნების იქნებოდა, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენ ვიცნობდით მუტუს ნამუშევრებს და ვიცოდით, მუტუ ის ოპერატორია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად დასჭირდებოდა ჩვენს ფილმს, და საერთოდ, მთელ გადამღებ ჯგუფს. მისი კამერა ზუსტად ასახავდა, არაფერს გამოტოვებდა და ჩვეული ოსტატობით აჩვენებდა გარემოს. თვითონ ოლეგ მუტუც აფასებდა ჩვენთან ერთად მუშაობას და დიდ აზრსაც ხედავდა ამაში.

**– ფილმის წარმატებაში გარკვეული როლი ბავშვებმა, კერძოდ, ლიკა ბაბლუანმა, მარიამ ბოკერიამ, დათა ზაქარეიშვილმა, ზურაბ გოგალაძემ შეასრულეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფილმის, საერთოდ, კინოს წარმატება, პირველ რიგში, რეჟისორის დამსახურებაა. თეატრში უფრო მსახიობზე გადადის მთელი ტვირთი. რატომ აირჩიეთ ეს ბავშვები და მათთან მუშაობის რა ხერხს მიმართეთ?**

– ბავშვებთან მუშაობა რთული არ იყო. საერთოდ, ჩვენ ორივესთვის სასიამოვნოა მსახიობებთან მუშაობა. ამ პროცესში უამრავ რამეს სწავლობ და აღმოაჩენ... ბავშვების მოძებნამ ერთი წელი გასტანა. 100-ზე მეტი სკოლა და ბევრი ნიჭიერი, საინტერესო ბავშვი აღმოვაჩინეთ. ეს ორი გოგონა – ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია ჩვენს გმირებთან ძალიან ახლოს მოვიდნენ. მათ თავიანთი ბუნებრიობით მოგვხიბლეს. ჩვენთვის მიუღებელია ე.წ. ნაცნობობით და ბიძაშვილ-მამიდაშვილობით ამოვირჩიოთ მსახიობები. უნდა ამოირჩიო ისეთი მსახიობი, რომელიც შენ დაგარწმუნებს, რომ ის ზუსტად განასახიერებს რეჟისორის ჩანაფიქრს. იდეებს მსახიობებს ჩვენს თავს არ ვახვევდით. მათ კამერის წინ ბუნებრივად, თავისუფლად უნდა იგრძნონ თავი. პირველ რიგში, ვცდილობდით რეპეტიციები სასიამოვნოდ ჩაგვეტარებინა. ნაწილ-ნაწილ ვაცნობდით ბავშვებს სცენარს. ამ პროცესში ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გოგონებმა ფილმის გმირების სახეები აბსოლუტურად გაითავისეს, თავიანთ როლს მიუახლოვდნენ და, რაც მთავარია, ამ ბავშვებმა მუშაობის პროცესში საკუთარი თავი უკეთ შეიცნეს და თავიანთი შესაძლებლობები აღმოაჩინეს.

**– თქვენმა ფილმმა დაიმსახურა საავტორო კინოს – „არტ-ჰაუსის“ პრიზი, რომელიც ბერლინალეს ფორუმის სექციამ გადმოგცათ. ალბათ, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. შეგიძლიათ პირდაპირ მითხრათ, ელოდით ასეთ წარმატებას?**

– ვიცოდით, რომ ჩვენი შრომა ნაყოფს გამოიღებდა. პრიზის მიღება იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, როგორც პრესაში გამოქვეყნებული შეფასებები. პრესა აღტაცებით შეხვდა ჩვენს ფილმს!

**– ქალბატონო ნანა, ალბათ ამ ფილმით არ ამოიწურება თქვენი თანამშრომლობა მეუღლესთან – სიმონ გროსთან. რას უნდა მოველოდეთ უახლოეს მომავალში, გაქვთ რაიმე ჩანაფიქრი?**

– ჩვენი სურვილია, რომ ფილმი „გრძელი, ნათელი დღეები“ ფართო მაყურებელმა იხილოს კინოთეატრებში. ნათიას როლის შემსრულებელი მარიამ ბოკერია გვეუბნებოდა, „გრძელი, ნათელი დღეები“ შენი და სიმონის შვილიაო. რადგან ასეა, შვილს მოვლა და კარგ გზაზე დაყენება სჭირდება.

რაც შეეხება ჩვენს სამომავლო სამუშაო გეგმას, იდეებს – უამრავ თემაზე ვფიქრობთ, მაგრამ უფრო სოციალური თემებისკენ ვიხრებით. ვიწყებთ ახალ სცენარზე მუშაობას. იმედი გვაქვს, არც მომავალში „ჩაივლის ცუდად“ ჩვენი შრომა.

**ლია ციცაგი-ვიტეკი,**
**ბერლინი.**

## ჟურნალი

# ეს უკვე სერიოზული განაცხადია

**(მეექვე გვერდიდან)** **„მითვინიერება“ გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა: ეს დასაგმობი ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა საბჭოურ პერიოდში და, წარმოიდგინეთ, გრძელდება ახლაც, როცა „ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნის“. საქმე სულაც არ ეხება სათქმელის, გამოსახვის ახალი ფორმისა და სტილის ძიებას – ეს არის რაღაცით თავის გამოჩენის ავადმყოფური ლტოლვა, თუნდაც საამისოდ საკუთარი დედის აპარტამენტებში ჩხრეკა იყოს საჭირო! ავტორს დიდხანს უდევნებია თვალი ფსევდოლიტერატორთა ამ თავაშვებულობისთვის და მათთვის ნიღბის ჩამოხსნას ცდილობს.**

განგებ არ ვასახელებ ამ ვაიმწერლებს, ერთს კი ვიტყვი, რომ... ამას წინათ ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს კულტურის სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა ზაზა ბურჭულაძე და ორიოდე სხვაც, ვისი მსოფლმხედველობაც კარგად არის ცნობილი. ძალაუნებურად გებადება კითხვა: რა ხდება?

ამ ბოლო ხანს პრესაში ბევრი იწერება ხელისუფლებაზე რესპუბლიკელთა გავლენის გაძლიერების შესახებ. ხსენებული ფაქტიც ამის დადასტურება ხომ არ არის? თუ არა, მაშინ რატომღა ვაფინანსებთ და წავახალისებთ ავტორებს, რომლებიც თავიანთ „შემოქმედებაში“ ბილწად და უკუღმართად წარმოსახავენ ყოველივე წმინდას, რაც კაცობრიობამ საუკუნეების მანძილზე დააგროვა? **როდემდე უნდა ვხარჯოთ ხალხის ფული ანტიხალხურ ნაბოდვარზე?**

ლევან ბებურიშვილის ამ ნაშრომის გამოქვეყნებით „ამერ-იმერმა“ (**დამფუძნებელი, პროექტის ავტორი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი – ვაჟა ჩორდელი**) სერიოზული განაცხადი გააკეთა: ის დაუღალავად იღვწებს ლიტერატურული პროცესების ნორმალური წარმართვისთვის და ხელს შეუწყობს ჯანსაღი თაობის აღზრდას. რასაც გვთავაზობს, ამის იმედს უკვე გვაძლევს. იმედია, ხელისუფლება უთუოდ გადადგამს სათანადო ნაბიჯებს, რათა „ამერ-იმერმა“ თავისი ჩანაფიქრი განახორციელოს და საქმით ემსახუროს თავის მკითხველს.

**ჟურნალ „ამერ-იმერის“ ახალი ნომერი შეგიძლიათ შეიძინოთ რუსთაველის გამზირის 32 ნომერში და „პლანეტა „ფორტეს“ ჯიხურებში.**

**ელგუჯა ლებანიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მხარე

# სტუმრად ახმეტის რაიონში

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სამინისტროს ადმინისტრაციის უფროს აკაკი ლოდიასთან ერთად ახმეტის რაიონს სტუმრობდა.**

ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატ, ძიუდოში ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურთან და ახმეტის რაიონის გამგებელ ბექა ბადიაურთან ერთად მინისტრი სკოლებს შორის რაიონის საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნას დაესწრო და ჩემპიონატის მონაწილე 2 გუნდი საფეხბურთო ინვენტარით — მაისურებით, ბურთებით და სპორტული ფორმებით დაასაჩუქრა.

ახმეტის სტადიონის მონახულებისა და საფეხბურთო ინვენტარის დარიგების შემდეგ მინისტრი და ოლიმპიური ჩემპიონი ახმეტის რაიონის სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლას ესტუმრნენ და სკოლაში გახსნილი სპორტული სექციის მოსწავლეებს ძიუდოს კიმონოები და ფეხბურთის ბურთები გადასცეს.

ვიზიტის დასასრულს ლევან ყიფიანმა ახმეტაში ზურაბ ზვიადაურის სახელობის სპორტული დარბაზი დაათვალიერა. ახმეტის რაიონის ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრაზე კახეთის რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სამომავლო პროექტები დაისახა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო საქართველოში მასობრივი სპორტის განვითარებისა და რეგიონების სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვის მიზნით მნიშვნელოვან ღონისძიებებს გეგმავს.

**ბეჟან დოლიძე**



მეზობლებთან

# ნაზიმ სულეიმანოვი: ჩივაძის მინდორზე ყოფნა — ეს უკვე შოუა



**1 მაისს ბაქოში აზერბაიჯანელი და ევროპელი ვარსკვლავების ვეტერანთა მატჩი გაიმართება, რომელშიც 4 ქართველია დაპატიჟებული: ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე და კახა ცხადაძე.**

ბაქოს „ნეფთჩის“ ყოფილმა ფორვარდმა ნაზიმ სულეიმანოვმა განაცხადა, რომ ჩივაძისა და ლეონიდ ბურიაკის მინდორზე ყოფნა უკვე შოუს გარანტიაა.

„ის მხოლოდ ფეხბურთელი როდი იყო. ჩივაძე საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი გახლდათ, ეს კი იოლი როდია. ჩივაძე საუკეთესო იყო თბილისის „დინამოში“.



ბრწყინვალე თამაშის წყალობით ის ბევრი ადამიანის კერპი გახდა“.

**საკუთარი ინფორმაცია**

დარბაზბურთი

# საუნივერსიტეტო ლიგა ფინიშს მიუახლოვდა

**23 თებერვლიდან მიმდინარეობს საქართველოს სტუდენტური ლიგა ფუტსალში, რომელშიც მონაწილეობას 30 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი იღებს. ტურნირის ორგანიზატორები არიან საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და კომპანია „ბილაინი“.**

პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ, რომელიც ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, 16 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა, ამ 16 გუნდიდან კი უძლიერესებმა ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს. საუნივერსიტეტო ლიგის



ფინალური ეტაპი თბილისში სპორტკომპლექს „არენა II“-ში მიმდინარეობს.

**1/4 ფინალები**

სტუ — ილიას უნივერსიტეტი 7:1,
სეუ — სამედიცინო უნივერსიტეტი 5:4,
თსუ — თავართქილაძის უნივერსიტეტი 5:0,
აგრარული უნივერსიტეტი — გორის უნივერსიტეტი 7:3.

**ნახევარფინალები გაიმართება დღეს სპორტკომპლექს „არენა II“-ში.**

14 სთ. სტუ — სეუ,
15 სთ. თსუ — აგრარული უნივერსიტეტი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

გზა დაელოცოს

# არავითარი ამბიცია!

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ეგიდით უკვე მეოთხე ორგანიზაცია დაფუძნდა.**

**„თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის“ გამგეობის წევრთა ნუსხა და მათი დამსახურება სპორტული სამყაროს წინაშე გვაფიქრებინებს, რომ ისინი იდეამ გააერთიანა და არა განდიდების მანიამ.**

მართლაც, როგორც კავშირის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა აღნიშნა, უმთავრეს მიზნად არა საპრეზიდენტო ამბიციის დაკმაყოფილება, არამედ კონკრეტული სასიკეთო საქმეების ხორცშესხმა მიაჩნიათ, რომელსაც აქვე გაეცნობით და, ვიმედოვნებთ, ქაღალდზე არ დარჩება.



რადგან ზემოთ საპრეზიდენტო ამბიცია ვახსენეთ, დავაკონკრეტებთ, რომ წლეულს შემოდგომაზე დანიშნული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ვიგულისხმეთ, სადაც, ალბათ, ცხარე ბრძოლა გაჩაღდება ბესიკ ლიპარტელიანის შესაცვლელად.

**1. პაატა გურასპაული** — კავშირის პრეზიდენტი (მოთამაშის კარიერა: თბილისის „დინამო“, „თბილისი“, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები; მწვრთნელის კარიერა — ეროვნული ნაკრების მწვრთნელი; საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრი).

**2. მიხეილ გაბრიჩიძე** — კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (მოთამაშის კარიერა: თბილისის „დინამო“, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, სტუ, სდასუ, „შევარდენი“, საქართველოს ნაკრები).

**3. ზაზა ღონღაძე** (მოთამაშის კარიერა: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, „ბურევესტნიკი“).

**4. ალეკო პეტრიაშვილი** (მოთამაშის კარიერა: თბილისის „დინამო“, სტუ, „მერანი“, „შევარდენი“, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები).

**5. თემურ დათიკაშვილი,** თბილისის „ვითას“ პრეზიდენტი.

**6. მამუკა ლომიძე** (მოთამაშის კარიერა: „ბურევესტნიკი“, თბილისის „დინამო“).

**7. ლევან წულაია** (მოთამაშის კარიერა: თბილისის „დინამო“, „შევარდენი“, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები).

**8. გურამ ვაშაკიძე** (მოთამაშის კარიერა: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, თბილისის „დინამო“, სტუ, „შევარდენი“).

**9. დავით ჩიხლაძე** (მოთამაშის კარიერა: თბილისის „დინამო“, „შევარდენი“, „მერანი“).

**10. სერგო იშხნელი** (მოთამაშის კარიერა: თსუ, „ინჟმშენი“, თბილისის „დინამო“, სტუ, ასკ: მწვრთნელის კარიერა: საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები, თბილისის ნაკრები, „შევარდენი“, „ინჟმშენი“).

**11. ამირან ჭაბუკიანი.**

**კავშირის მიზნები**

1) თბილისში კალათბურთის განვითარების ხელშეწყობა;

2) თბილისის მასშტაბით საკალათბურთო შეჯიბრებების ორგანიზება ბავშვებსა და მოზარდებს შორის;

3) მწვრთნელთა სემინარების ორგანიზება;

4) მსაჯთა სემინარების ორგანიზება;

5) ვეტერანი კალათბურთელების სოციალური პირობების გაუმჯობესება;

6) თბილისის საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება;

7) თბილისის ბავშვთა სკოლების საკალათბურთო ინვენტარით მომარაგება.

**კავშირის უახლოესი გეგმები**

1. 27 მაისს დაიწყება თბილისის მინი-კალათბურთის ფესტივალი. ტურნირის გახსნის ცერემონიალი ჩატარდება თბილისის სპორტის სასახლეში.

2. 1 ოქტომბრიდან დაიწყება თბილისის ჩემპიონატი 18 წლამდელებში.

3. 1 ოქტომბრიდან დაიწყება თბილისის ჩემპიონატი 16 წლამდელებში.

4. 1 ნოემბრიდან დაიწყება თბილისის ჩემპიონატი 14 წლამდელებში.

5. 1 ნოემბრიდან დაიწყება თბილისის ჩემპიონატი 13 წლამდელებში.

თბილისის ასაკობრივ ჩემპიონატებში პირველ 8 ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს შესაბამის ასაკობრივ ჩემპიონატებში.

თბილისის ასაკობრივი ჩემპიონატების დაგეგმვის, საერთო სისტემის შემუშავების და თარიღების დადგენის საკითხები შემუშავდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან კონსულტაციების შედეგად.

22 აპრილს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი და საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გააფორმებენ ხელშეკრულებას თანამშრომლობის თაობაზე.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ზემოთაღნიშნულ ღონისძიებებს და კავშირის სხვა აქტივობებს უკვე გამოენახა დაფინანსება, რადგან თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის სპონსორები იქნებიან კომპანია „ბორჯომი“ და „ჰიუნდაი“.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# ლონდონური ელ კლასიკო საფრთხეშია

**ჰო მაგრამ, რა შუაშია გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი ესპანური გრანდების მარადიულ დავასთანო? — იკითხავთ, ალბათ. ახლავე მოგახსენებთ.**

როგორც სპორტის მოყვარულებმა იციან, წლეულს ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო ტურნირის გადამწყვეტ მატჩს სახელოვანი „უემბლი“ უმასპინძლებს და, სავსებით შესაძლებელია, იქ თამაშის უფლება სწორედ კატალონიურმა და კასტილიურმა სუპერკლუბებმა მოიპოვონ.



განებავთ, შემთხვევითობას მიაწერეთ, განებავთ — ბედის ირონიად მიიჩნიეთ, მაგრამ საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალიც ინგლისის გულშია დანიშნული და, თუ მოვლენები ბოლომდე პროგნოზების შესაბამისად განვითარდა, ერთ-ერთ ნახევარფინალში იქაც პრინციპულ მეტოქეთა ჯახი უნდა გაიმართოს.

დიახ, კენჭისყრის შედეგად, მეოთხედფინალური პლეი-ოფების შესაბამის წყვილებში, ამჟამინდელი რეიტინგის თანახმად, რეგულარული სეზონის მოწინავეებს უნდა გაემარჯვათ, მაგრამ...

ამთავითვე მოვჭრით: „რეალმა“ საკუთარი ამოცანა პირნათლად გადაჭრა, სერია სამ მოგებამდე თელ-ავივის „მაკაბისთან“ უპრობლემოდ მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე — 3:0 (ბოლო შეხვედრაში ისრაელში 69:57 იძალა) და პირველმა შეაბიჯა საუკეთესოთა კვარტეტში.

რაც შეეხება „ბარსელონას“, მას დღეს ათენში ყოფნა-არყოფნის ბრძოლა აქვს „პანათინაიკოსთან“, რადგან ჯერჯერობით მარცხდება 1:2 და თუ ტიტულზე ოცნებობს, ვალდებულია მეოთხე თამაში თავის სასარგებლოდ დაამთავროს. დაგვეთანხმებით, რომ ეს უძნელესი საქმეა, რაც წინა დუელშიც დადასტურდა — დიამანტიდისთან და კომპანიასთან ერთად ფავორიტი სტუმრები ფანატიკოსმა ბერძენმა გულშემატკივრებმაც დააჩოქეს — 65:63.

ზემოთ უბერებელი ელადელი შემთხვევით არ გვიხსენებია — სწორედ მან ჩაუგდო ბოლო წუთზე ურთულესი სიტუაციიდან ზღაპრული სამქულიანი ხავიერ პასკუალის გუნდს. სხვათა შორის, თუ დღეს საერთო ანგარიში გათანაბრდა, გადამწყვეტი შეხვედრა ბარსელონაში გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# მესიმ „ბაიერნთან“ თამაშის ნებართვა მიიღო



**მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ მატჩში მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ ითამაშებს. კატალონიური პრესის ცნობით, გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ არგენტინელმა ექიმებისგან თამაშის ნებართვა მიიღო.**

მესიმ ტრავმა ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში „პსჟ“-სთან გამართულ პირველ მატჩში მიიღო. ამის გამო არგენტინელმა პრიმერას ბოლო 2 ტური გააცდინა, ხოლო ლიგის 1/4-ფინალის განმეორებით თამაშში ის სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, მესი „ბაიერნთან“ დიდი ალბათობით ითამაშებდა, ახლა კი ეს შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმე კუნთის დაზიანებასთან გვაქვს, დიდი ალბათობით, მესი ესპანეთის ჩემპიონატის მომდევნო ტურში „ლევანტეს“ წინააღმდეგ არ ითამაშებს.

**გიორგი შოთაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**დასაქმება**

# როცა თვით „პატიოსანი“ სტატისტიკაც ტყუის

**ინდუსტრიული საზოგადოების მრავალ პრობლემათაგან ერთ-ერთი უმწვავესი და, ამავდროულად, ნებისმიერი „შეფერილობის“ ხელისუფლებისთვის სოციალური საფრთხის შემცველი შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უმუშევრობის პრობლემაა. კიდევ მეტად კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, არა ერთი პრობლემა, არამედ ერთბაშად რამდენიმეს მეტად მტკივნეული კვანძი, რომლის, ასე ვთქვათ, „ანთებას“ მრავალ ქვეყანაში არაერთი, ზოგჯერ საკმაოდ ღირსეული მთავრობა გადაყოლია.**

მეტ-ნაკლები სიმწვავით უმუშევრობის საკითხი ყველა ქვეყანაში დგას და მისი დონის მატებასა თუ შემცირებას ზოგჯერ გასაოცრად პარადოქსული შედეგებიც კი მოაქვს, როგორც ეს, მაგალითად, აპრილის დასაწყისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა. მას შემდეგ, რაც შრომის სამინისტრომ ქვეყანაში უმუშევრობის დონის 0,1 პროცენტით შემცირების შესახებ განაცხადა, ბირჟებზე კომპანიათა აქციების რამდენიმე პუნქტიანი... ვარდნა დაფიქსირდა! არადა, ერთი შეხედვით, პირიქით უნდა მომხდარიყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს 0,1-პროცენტიანი შემცირება იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ოდენობის დამატებითი სამუშაო ადგილი შეიქმნა — ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ შრომის ბირჟებზე აღრიცხვიდან დაახლოებით ამ ოდენობის ხალხი მოიხსნა და ამ გზით სამუშაოს ძებნას დაანება თავი, უმუშევართა რიცხოვნობა კი, ფაქტობრივად, იგივე დარჩა.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ უფრო თვალნათლივ წარმოვაჩინოთ, თუ რაოდენ დიდი ფინანსურ-ეკონომიკური (სოციალურს თავი რომ დავანებოთ!) მნიშვნელობის საკითხია უმუშევრობა და რაოდენ არასაიმედოა „პატიოსანი“ სტატისტიკაც კი. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ხალხის დასაქმება და ამით უაღრესად ნეგატიური სოციალური ფონის შერბილება საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სიღარიბის დაძლევის გამჭოლი თემაა, რადგან მას უამრავი უარყოფითი სოციალური და სხვა სახის პრობლემა მოყვება.



წელან „პატიოსანი“ სტატისტიკა ბრჭყალებში შემთხვევით არ იყო მოქცეული — საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუშაკებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩვენში ოფიციალური სტატისტიკა უმუშევრობის პრობლემას, საარსებო მინიმუმის უმთავრეს საკითხს და უამრავ სხვას რეალობისგან აბსოლუტური დაშორებით წარმოგვისახავს, თუმცა ეს, ცხადია, სამსახურის თანამშრომელთა არაკეთილსინდისიერების ბრალი არ არის. ეს, უწინარესად, მოძველებული მეთოდოლოგების გამოყენებით, იმისთვის უმტკივნეულესი პრობლემებისადმი წინა ხელისუფლების რეტროგრადიული მიდგომებით, უბრალოდ ხალხის გასაჭირისადმი მმართველთა სრული გულგრილობითაა გამოწვეული. **სწორედ ამის გამოა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებში ქვეყანაში უმუშევრობის დონე დაახლოებით 15-17 პროცენტის ფარგლებში მოქცეული მაშინ, როცა ხელისუფლებისადმი ყველაზე ლოიალურად განწყობილი ექსპერტებიც კი ამ ციფრებს აორმაგებენ და 30-35-პროცენტიან ნიშნულს „უჩვენებენ“, ხოლო, მწარე რეალობიდან გამომდინარე, არაოფიციალური სტატისტიკა ამ ციფრებსაც 1,5-2-ჯერ ზრდის.** თანაც ბოლო წლებში ეს რიცხვი გაუნუხრელად მატულობს. ამასთან, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მათგან, ვისაც ოფიციალური სტატისტიკა „უმუშევრად არ მიიჩნევს“, მთლად ორი მესამედი თუ არა, ნახევარზე გაცილებით მეტი თვითდასაქმებულია, რაც, სხვა ენით რომ ვთქვათ და საქსტატის კანცელარიულ ენას არ ავყვეთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ და მათი ოჯახის წევრებს სადილი მაინცდამაინც ყოველდღე და არა, ვთქვათ, დღეგამოშვებით ან უფრო იშვიათად აქვთ. ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ რეალურად უმუშევართა კატეგორიის გარდა, სტატისტიკა ასევე ეგრეთ წოდებულ „ეკონომიკურად პასიურ“ კატეგორიასაც იცნობს, ვისაც სამუშაოს შოვნაზე ხელი დიდი ხნის ჩაქნეული აქვს და გაუთავებელი წარუმატებლობის გამო ამაზე აღარც ფიქრობს. ამ კატეგორიის გააქტიურების რეალური გზა დასაქმების პროგრამების რეგიონებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მზრუნველობით ამოქმედებაა, **თორემ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათასგვარი „დასაქმების პროგრამის“ მავანთათვის „ქერის ორმოდ“ გადაქცევის „ფოკუსი“ წინა ხელისუფლებამ ყველას კარგად დაგვანახვა: სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული უამრავი მილიონის მიუხედავად, უმუშევრობის და, მით უმეტეს, სიღარიბის დაძლევის ეფექტიანობა, ფაქტობრივად, ნულთან ახლოს იყო.**

უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის „მცირედად წარმატებულ“ უახლოეს ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: მთავრობის პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ (2006 წელი); დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელის გადამზადება სამუშაო ადგილებზე დამსაქმებლის მოთხოვნების საფუძველზე. ბიუჯეტი 24 მილიონი ლარი, მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა ბენეფიციარმა, რომელიც სამი თვის მანძილზე 150-150 ლარს იღებდა, მათგან 15 პროცენტი დასაქმდა (2006 წელი); თბილისის მერიის ახალგაზრდების დასაქმების პროგრამა. მონაწილე — 5 ათასი სტუდენტი, რომელიც სხვადასხვა მუნიციპალურ სამსახურში დასაქმდა ყოველთვიურად 200 ლარის ანაზღაურებით (2006-07 წლები); „დასაქმების პროგრამა — 2007“, მიზანი — მცირე და საშუალო ბიზნესის იაფიანი სახელმწიფო კრედიტით დაფინანსება ექსპორტის ხელშეწყობის, ტურიზმისა და ხალხური რეწვის განვითარების დარგებში, დაფინანსება 5 მილიონი ლარი (2007-09 წლები); საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით დასაქმების აქტუალური პოლიტიკის გასატარებლად 60 მილიონი ლარი გამოიყო, მონაწილეობა მიიღო 100 ათასმა კაცმა, რომლებიც სხვადასხვა კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად გადამზადდა და დასაქმდა, რა დროსაც 200-ლარიან სტიპენდიას იღებდა(2008-09 წლები); პროგრამა „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“, რომლის მიზანი პროფესიული განათლების სფეროში კერძო სექტორის როლის გაზრდა იყო და სულ მცირე 40 პროფესიული მომზადება-გადამზადების ცენტრი უნდა შექმნილიყო (2009-10 წლები); თბილისის მერიის ეგრეთ წოდებული „დასაქმების ბიუჯეტი“, რომელიც მიზნად ისახავდა დედაქალაქის მცხოვრებთა მუნიციპალურ პროექტებში მონაწილეობას, დაგეგმილი იყო 50 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა (2010 წელი); სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების კერძო სექტორში დასაქმების პროგრამა. მერიის ტენდერში გამარჯვებული კერძო ფირმები ვალდებულნი იყვნენ ეს ხალხი დაესაქმებინათ (2010 წელი) და სხვ.

ესაა გატარებულ ღონისძიებათა არასრული ნუსხა, რომელიც ზოგადი სურათის შესაქმნელად მოვიყვანეთ, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დახარჯული სახსრების, დროისა და ენერგიის მიუხედავად, მათ ვითარება კარდინალურად არ შეუცვლიათ, თუმცა კი ცხადია, ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ გარკვეული სარგებელი მიიღო, თუნდაც დროებითი სამუშაო იშოვა, რაღაც ისწავლა, რაც ცხადია, დიდად სასიხარულოა, თუმცა კი უმუშევრობის დონე და სოციალური დაძაბულობის გრადუსი ამის გამო არ დაწეულა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის რეალურად შესამცირებლად, რის გზა, უწინარესად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა, ღონისძიებათა მთელი კომპლექსი უმოკლეს დროშია გასატარებელი, რაც თავდაუზოგავ საკანონმდებლო მუშაობას და უამრავი ინსტიტუციური ცვლილების შემოღებას საჭიროებს. მათ შორის მხოლოდ ზოგიერთ უმთავრესს აღვნიშნავთ: კერძოდ, საჭიროა სამართლიანი შრომითი კოდექსის შექმნა, დასაქმების აქტიური და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქმედითი სამთავრობო პოლიტიკის გატარება, რეალური სოციალური სტანდარტების მკაფიო ჩამოყალიბება და სხვ.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

შვილები ლალი, დათო გუჯაბიძეები, შვილიშვილები კოტე, გია, სალომე ქავთარაძეები, იროდიონ, გვანცა, ქეთი გუჯაბიძეები, შვილთაშვილები ნატალი, ელენე, ლალი, კოტე, ლაშა-გიორგი, სიძეები ნუგზარ ქავთარაძე, კახა ბერელაშვილი, რძლები მაია მელაძე, ანა ნაკაშიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**შუშანა ვიქტორის ასულ**

**სურგულაძე-გუჯაბიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 IV, 16 სთ. დაკრძალვა 20 IV, 14 სთ. მისამართი: ონიაშვილის ქ. 59.

---

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქ-ნ ლალი გუჯაბიძის დედის

**შუშანა სურგულაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯანმრთელობის ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონ ლალი გუჯაბიძის დედის

**შუშანა სურგულაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გოდერძი ბუკიას ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

**ზაურ ვლადიმერის ძე ინასარიძის**

გარდაცვლებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ახლობლებს.

---

მეგობრები ნანა ხაზარაძე, ლია მელიქიშვილი, ციალა კიღურაძე, ლამარა ეძგვერაძე, ცისანა ზუკაკიშვილი, დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონაძე, ალეკო დაუშვილი, ანტონ ლეჟავა, ჯუანშერ (ბახო) ამირანაშვილი, ნინო (კისია) კიღურაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მედეა ცქირია**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მრავალი წლის მანძილზე ამ საზოგადოების ერთგული წევრი, ისტორიკოსთა დიდი ქომაგი, უმწიკვლო მოქალაქე

**მედეა ცქირია**

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

სს „სილქნეტის“ გაერთიანებული პროფორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, კავშირგაბმულობის დარგის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკის ბატონი

**გივი აბრახამიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

„საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ადმინისტრაცია, პროფკავშირული საზოგადოების წარმომადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილის

**გივი აბრახამიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

**„ვიკიპედია“**

## კადაფი „ტირანი“ იყოო, ანუ არ უნდოდათ რძე და ყველი?..

ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფი თავისი ხალხისა და სამშობლოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო სიკვდილით დასაჯეს ამბოხებულებმა. სხვათა შორის ამ „ტირანი“ მმართველის წინააღმდეგ ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა აშშ და ევროპის მოწინავე სახელმწიფოები გამოდიოდნენ და დაუფარავად აქტიურად მონაწილეობდნენ მის დამხობაში და შემდგომ გასამართლებაშიც. ამას წინათ „ვიკიპედიაში“ მეტად საინტერესო მასალას წავაწყდი იმის შესახებ, თუ როგორი „დესპოტი“ იყო პოლკოვნიკი კადაფი და რა „საშინელებები დაატეხა“ თავს ლიბიელ ხალხს.

თურმე კადაფის პრეზიდენტობის დროს ლიბიაში:

- ბენზინი წყალზე იაფი ღირდა — 1 ლიტრი 0,14 დოლარად შეგეძლოთ გეყიდათ;
- ახალდაქორწინებულებს ბინის შესაძენად 64 ათასი დოლარით ასაჩუქრებდნენ.
- განათლება და სამედიცინო მომსახურება უფასო გახდა.
- ოჯახის თითოეული წევრისთვის სახელმწიფო წლიურად ათასი დოლარის დოტაციას გასცემდა.
- უმუშევრობის დახმარება 730 დოლარს შეადგენდა.
- ქვეყნის ტერიტორიაზე გააუქმა ნატოს ბაზები.
- კერძო ბიზნესის წამოწყებისთვის მოქალაქეებს ერთჯერადად 20 ათასი დოლარის აღება შეეძლოთ.
- ყოველ ახალშობილზე ოჯახი 7 ათას დოლარს იღებდა.
- საზღვარგარეთ სწავლა და სტაჟირების გავლა ლიბანის მოქალაქისთვის სახელმწიფო ხარჯზე ხდებოდა.
- მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მაღაზიებში საკვები პროდუქტები და პირადი მოხმარების საგნები შეღავათიან ფასებში რიგდებოდა.
- გაიხსნა უფასო აფთიაქები.
- გააუქმა ბინის ქირისა და ელექტროენერგიის გადასახადები.
- შემოიღო „მშრალი კანონი“.
- ავტომობილისა და ბინის შესაძენად გამოიყოფოდა უპროცენტო სესხი.
- ავტომობილის შეძენის შემთხვევაში თანხის 50 პროცენტს სახელმწიფო იხდიდა, სამხედრო მოსამსახურეთათვის ეს შეღავათი 65 პროცენტს შეადგენდა.
- სახელმწიფოს სათავეში მოსვლისას კადაფმა ქვეყნიდან გააძევა საერთაშორისო კორპორაციები.
- მისი მმართველობის დროს მიიღეს ქვეყნის სამხრეთში მცხოვრებმა აფროამერიკელებმა მოქალაქის სტატუსი.
- ცხრაჯერ შემცირდა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა.
- ლიბიელის სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელი 51 წლიდან 74,5 წლამდე გაიზარდა.



- კადაფმა შეძლო ქვეყანა გამოეყვანა საერთაშორისო საბანკო სისტემიდან და მისი მაგალითისთვის არაბეთის 12 ქვეყანას სურდა მიებაძა.

ახლა თქვენ განსაჯეთ ვის არ აწყობდა პოლკოვნიკ კადაფის ქვეყნის სათავეში ყოფნა, ლიბიელ ხალხს თუ დემოკრატების მანტიამოსხმულ ამერიკელებსა და ევროპელებს?

**ავთანდილ ბექაური**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ჩვენი კარაბადინი

### სილამაზე – აგრესიის მიზეზია

**მიმზიდველი ქალები, რომლებიც მამაკაცების გაზრდილი ყურადღებით სარგებლობენ, ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ქალები, არიან კონფლიქტში გარშემომყოფებთან, დაადგინეს მეცნიერებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან.** მეცნიერებმა გამოკითხეს 150-ზე მეტი ახალგაზრდა ქალი, ერთმანეთს ადარებდნენ მათს ტემპერამენტსა და მიდრეკილებას კონფლიქტებისადმი, და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მიმზიდველი ქალების ძირითადი ნაკლოვანება მათი სიფიცხეა. ქალები, რომლებიც თავს მიიჩნევენ ეფექტიანად და სექსუალურებად, უფრო მეომრულად არიან განწყობილი თანამედროვე სამყაროში გადარჩენისთვის ბრძოლაში, მათ გაზრდილი აქვთ თვითშეფასება, ვერ იტანენ შარიანობას თავიანთი პერსონისადმი.



### ვარჯიში ტვინისთვის

**ფიზკულტურა სასარგებლოა არა მხოლოდ კუნთებისთვის, არამედ ტვინისთვისაც, მიაჩნია ექსპერტს ფიზიკური კულტურის შემეცნებითს უნარზე გავლენის დარგში, ფსიქოლოგიის პროფესორს ილინოისის უნივერსიტეტიდან არტ კრამერს.**

ამჟამად ათობით გამოკვლევაა, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ აერობიკულ ვარჯიშებს შეუძლიათ გაზარდონ თავის ტვინის კრიტიკული სტრუქტურების მოცულობა და გააუმჯობესონ ბავშვებისა და ხანდაზმული ადამიანების შემეცნებითი უნარი. გამოკვლევებმა, რომლებიც მოეწყო კრამერის ლაბორატორიაში, დაადასტურეს, რომ რეგულარული სიარული ასევე ზრდის გონებრივ შესაძლებლობებს. შესაბამისმა მაჩვენებლებმა დაადასტურეს, რომ ხანდაზმული ადამიანები, ვინც სპორტს მისდევს, მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ თავიანთი ტვინის ფუნქციონირებას.

ინფორმაციას კომენტარს უკეთებს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის სამეცნიერო ცენტრის ასაკობრივი ფიზიოლოგიის ლაბორატორიის წამყვანი მეცნიერი-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნატალია პონომარიოვა:

— ის, რომ ზომიერი ფიზიკური დატვირთვები დადებით გავლენას ახდენს ფსიქიკურ ფუნქციებზე, დიდი ხანია ცნობილია. ისინი აუმჯობესებენ ტვინის სისხლით მომარაგებას და მისი ჟანგბადით უზრუნველყოფას, სტიმულს აძლევენ ნერვული უჯრედების ზრდას და ახალი ნერვული კავშირების შექმნას, ამაღლებენ დონეს ენდორფინებისა და ლოფამინისა — ნივთიერებებისა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჩვენს კარგ განწყობილებაზე. ტვინისთვის მეტად სასარგებლოა სხავადასხვაგვარი კოორდინირებული ვარჯიშები, მაგალითად, ცეკვები და ცურვა. თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დატვირთვა არ უნდა იყოს გადაჭარბებული, არ უნდა იწვევდეს სტრესს, არ სწევდეს მაღლა არტერიულ წნევას, რაც განსაკუთრებით ხანდაზმულებისთვის არის სახიფათო.

### გამოკითხვა

**საჭიროა, რომ მამაკაცი ყურადღებას აქცევდეს თავის კვებას?**

**61 პროცენტი. დიახ, ყოველი მოზრდილი ადამიანი თავად არის პასუხისმგებელი თავის ჯანმრთელობასა და მდგომარეობაზე,**

**19 პროცენტი. არა, მამაკაცის კვებას თვალყური უნდა ადევნოს მისმა ცოლმა ან დედამ,**

**14 პროცენტი. არ ვიცი, ამაზე არასოდეს მიფიქრია,**

**6 პროცენტი. არა, ეს არაა მამაკაცის საქმე, რომ იფიქროს ასეთ წვრილმანებზე.**

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 834 კაცმა მიიღო**

### ქალბატონებო, უნდა იძინოთ...

**ქალებმა უფრო მეტი უნდა იძინონ, ვიდრე მამაკაცებმა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტონუსში შენარჩუნებისა და მთლიანად კარგი კეთილგანწყობისთვის, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს. ძილის უკმარისობა სტრესისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადების, აგრეთვე მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტის წარმოქმნის მიზეზია.**



ძილის ერთ-ერთი ფუნქციაა ტვინს მისცეს აღდგენის შესაძლებლობა. რაც მეტად იყენებს ადამიანი დღის განმავლობაში ტვინს, მით მეტი ძილი სჭირდება აღდგენისთვის. ქალები, როგორც წესი, რამდენიმე საქმეს აკეთებენ ერთდროულად, ისინი თავიანთი ტვინის მეტ შესაძლებლობებს იყენებენ, ამიტომ მეტი ძილია მათთვის აუცილებელი.

### ყავას გაუმარჯოს!

**„ბერძნული“ ყავის რეგულარული მოხმარება ახანგრძლივებს სიცოცხლეს, მიაჩნიათ ათენის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერებს. მათ გამოიკვლიეს საბერძნეთის კუნძულ იკაროსის მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ კუნძულზე ცხოვრობს იმ ადამიანების ერთი პროცენტი, ვისი ასაკიც 90 წელს არის გადაცილებული, თუმცა მთლიანად ევროპაში დღეგრძელთა რიცხვი 0,1 პროცენტს შეადგენს.**



აღმოჩნდა, რომ გამოკვლევის მონაწილეთა 87 პროცენტი რეგულარულად სვამს „ბერძნულ“ ყავას — ახალდაფქვილი მარცვლეულისა. სასმელის სასარგებლო თვისებები მეცნიერებმა ახსნეს იმით, რომ ის აუმჯობესებს ენდოტელის მუშაობას — ესაა იმ უჯრედების ფენა, რომლებიც სისხლძარღვებს ალაგებენ. სწორედ ეს ფენა აწარმოებს შენაერთის სინთეზირებას, რაც მნიშვნელოვანია სისხლის შედედების კონტროლისთვის, სისხლძარღვთა ტონუსისა და არტერიული წნევის, თირკმელების ფილტრაციული ფუნქციების რეგულაციისთვის, გულის შემამცირებელი აქტიურობისა და თირკმელების მეტაბილური უზრუნველყოფისთვის.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### 6-7 თვეში ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე საცდელი მატარებელი გაივლის

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით ქართულ-თურქული მოლაპარაკება ამჯერად თბილისში გაიმართება. მხარეები აცხადებენ, რომ მშენელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს. ძალიან მალე დამატებითი თანხა გამოიყოფა — 175 მილიონი დოლარი, რომელიც რკინიგზის სამცხე-ჯავახეთის მონაკვეთის მშენებლობას მოხმარდება. 2013 წლის ბოლოს კი რკინიგზაზე საცდელი მატარებელი გაივლის.

**„რეზონანსი“**

#### განხეთქილება ნაციონალებში

ნაციონალური მოძრაობა საგონებელშია ჩავარდნილი. 19 აპრილის აქციის სამზადისში ჩაფლულებს, დათა ახალაიას სახით თავს ფათერაკი დაატყდათ. ახალაიას განცხადების გავრცელებიდან რამდენიმე წუთში ნაციონალებსა და მეოცნებეებში დიდი გნიასი შეიქმნა. ნაცმოძი აშკარად შეშფოთებული იყო. ახალაია მათ იუბილარ ლიდერ ვანო მერაბიშვილს სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მერაბიშვილის, გიგა ბოკერიას და დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აპირებს ბაჩო ახალაიაც. ითქვა, აგრეთვე, რომ დათა ახალაია, სოსო თოფურიძე და მეგის ქარდავა საქართველოში 18 აპრილს ჩამოვლენ.

**„ახალი თაობა“**

#### როგორ დატოვეს ექიმები შენობის გარეშე

თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირსა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის კვეთაზე მდებარე დიდი ტრადიციების მქონე შპს „მე-13 პოლიკლინიკა“ უცნაურ და საეჭვო გარემოებაში გაასხვისეს. ჯანდაცვის ობიექტების გასხვისება-ოპტიმიზაცია, შემდეგ კი გასხვისება, თბილისის მერიის მიერ ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა, თუმცა, როგორც ჩანს, პრესტიჟულ ადგილზე მდებარეობა შპს „მე-13 პოლიკლინიკას“ განსაკუთრებულ მიმზიდველობას სძენს და აკი, დაჩქარებული წესით გაიყიდა კიდეც. მედპერსონალი კი უმუშევარი დარჩა.

**„ყველა სიახლე“**

#### რა ეშველება ქართულ მეტალურგიას?

როგორ ჩაკვდა ქართული მეტალურგია, რატომ ფიქრობდა შევარდნაძე, რომ დარგს საქართველოში მომავალი ჰქონდა, რა გააკეთეს ძმებმა ბეჟუაშვილებმა და ჯოზეფ კეიმ წარმოების ფეხზე დასაყენებლად... ამ საკითხებზე და სამომავლო პერსპექტივებზე მეტალურგიის სამეცნიერო ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი, ექს-პრემიერი თენგიზ სიგუა საუბრობს და აცხადებს, რომ „ქართული მეტალურგია თითქმის ჩამკვდარია, ერთადერთი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მუშაობს.

**„ვერსია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**შრომამ** თავისი საქმე გააკეთა — მაიმუნისგან შექმნა ადამიანი. შრომას შეუძლია წავიდეს.

* * *

— **მართალია**, რომ საკაშვილი თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად?

— მართალია, ვინ აუკრძალავს?

* * *

— **ძვირფასო**, ჩემით ძალიან კმაყოფილი იქნები, — ეუბნება ცოლი ქმარს, — სამჯერ გავიარე წითელ შუქზე, მაგრამ ერთხელაც არავის არ დავუჯარიმებივარ. დაზოგილი ფულით სამი ახალი შლაპა ვიყიდე.



* * *

**ორი** ტიპი შეხვდა ერთმანეთს.

— როგორაა საქმეები?

— რაო, უკვე გაიგე?!?!

* * *

**ტიპმა** ახალი მანქანა იყიდა. თვალის ჩინივით უფრთხილდება, სულ წმენდს, აპრიალებს. მერე ცოლი შეუჩნდა, გინდა თუ არა, მათხოვე მანქანა, მეგობართან უნდა წავიდეო. ბოლოს და ბოლოს, ქმარი, როგორც იქნა, დაყაბულდა, მაგრამ როდესაც ცოლს მანქანა გარაჟიდან გაჰყავდა, მაინც მიაძახა:

— ოღონდ გაფრთხილდი, თუ წესიერად არ ივლი და ავარიაში მოხვდები, იცოდე, ყველა გაზეთი დაწერს შენს წლოვანებას!

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com